[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

შაბათი, 28 მაისი, 1921 წ.

№ 70 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 70

## დამოუკიდებლობის დღესასწაული წითელი დროშის ქვეშ

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს 26 მაისს განსაკუთრებული შინარსი და ელფერი მიეცა იმ ძალების გამო, რომლებიც სათავეში უდგანან დღეს ჩვენს ქვეყანას. პირველათ ჩატარდა ის იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოებრივი ძალა უფლება ხელთ უპყრია საქართველოს რევოლიუციონურ მუშებს და გლეხობას, მათ ავანგარდს კომუნისტურ პარტიას, როდესაც საქართველოს მიწა განთავისუფლებულია რუსეთის კონტრ-რევოლიუციის ძალებისაგან, დასავლეთ იმპერიალისტების გავლენისაგან, განთავისუფლებულია იმ პარტიისაგანაც, რომელიც ყავარჯენი იყო ამ ძალების და გამტარებელი ამ გავლენის. ცხადია დღესასწაულსაც ეროვნული დამოუკიდებლობისას უნდა მიეღო და მიიღო კიდევაც ჭეშმარიტათ რევოლიუციონური და სოციალისტური ხასიათი. არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მსგავსათ წარსული ასეთივე დღესასწაულებისა მენშევიკების დროს, დემონსტრაციათ გამოთიშვისა, მოღალატური გამოცალკევებისა მეზობელ ქვეყნების რევოლიუციონურ ძალებისაგან, რომელთა ხანგრძლივმა თავგანწირულმა ბრძოლამ სოციალურ და ეროვნულ განთავისუფლებისათვის უამრავ ფრონტებზე, შექმნა პირობები ჩვენი დამოუკიდებლობის, გამოდის დღესაც მისი განმტკიცების უძლიერეს ფაქტორათ. ცხადია, რომ ამ გარემოებას უნდა აემხედრებია წელს 26 მაისის დღესასწაულის წინააღმდეგ ყველა ის ძალები, რომლებმაც სასტიკი დამარცხება იგემეს თებერვლის გადატრიალების გამო. ეს იყო მიზეზი იმ გააფთრებული კამპანიის, რომელსაც ეწეოდნენ ჩვენი 26 მაისის წინააღმდეგ ყველა ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციონური, ყველა შოვინისტური ელემენტები მენშევიკებისა და რამოდენიმეთ სოციალ ფედერალისტების მეთაურობით. მათი აშკარა მიზანი იყო საბოტაჟი ოცდა ექვსი მაისის დღესასწაულის, ამისთვის ისინი არ დაერიდნენ არაფერს და შეიარაღებულნი თავის ჩვეულებრივი დემაგოგიისა და ტყუილების ხმალ-კაპარჭით, პარალელურათ დღესასწაულის ჩვენ სამზადისთან, ამზადებდენ ისინიც ამ საბოტაჟს. მათი ორგანიზაციები ძალზე დაცარიელებულია, მათი პოლიტიკური ფრთებიც საგრძნობლათ შეკვეცილი, მაგრამ მათ განკარგულებაში მოიპოვება კიდევ დღესაც საკმაო აგენტურა მეჭორეობისა და ცილის წამების, რომ გაევრცელებიათ ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურათ მივარდნილ ყურულებში ხმები იმის შესახებ, თითქოს ამ დღეს ბოლშევიკები ამზადებდნენ რეპრესიებს ვიღაცას წინააღმდეგ, რომ მოხდებოდა რაღაც მღელვარება და უწესოებები თფილისში. მშრომელთა გაუვალი რაზმები წითელი დროშებითა და ნამგლის და ჩაქუჩის ემბლემებით ხელში, რომლებითაც გაივსო ქალაქის ცენტრალური ქუჩები ამ დღეს, კიდევ ზედმეტი მაჩვენებელი იყო იმის, რომ ბნელი ძალების მიერ შექმნილი შოვინისტური ბურუსი იფანტება, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა კარგი ხანია მონახა გზა თავის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების, გზა თავის საბოლოო გამარჯვებისა. ხალხის მტრების კიდევ ერთი ცდა დათავდა მათი დამარცხებით. რევოლიუციონური მშრომელი მასები თავის პარტიისა და მთავრობის მეთაურობით მოახერხებენ ამ მტრების საბოლოოთ დასამარებას.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

**ერთად ერთი გამოსავალი გზა.**

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ახალი პოლიტიკა მოითხოვს თავის განხორციელებისათვის განსაზღვრულ დროს და მოსამზადებელ ზომების მთელ რიგს. პირველ ხანებში ის გამოიხატა თავისუფალ ვაჭრობის აღდგენაში. მაგრამ თავისუფალი ვაჭრობა გაიგეს, როგორც თავისუფალი სპეკულიაცია ამას მოჰყვა ძალიან უნუგეშო შედეგები. ვინც ხმამაღლა მოითხოვდა თავისუფალ ვაჭრობას და იმაზე დიდ იმედებს ამყარებდა, უნდა გამოტყდნენ თავის გულუბრყვილობაში. მართალია პირველ ხანებში თავისუფალ ბაზარზე დაიწყეს ფასებმა ძირს დაწევა, თუმცა უნდა ითქვას, ძალიან უმნიშვნელოდ, მაგრამ შემდეგ მათ ისევ მაღლა აიწიეს და ზოგიერთი საგნები ძველზე მეტს ფასობდა. ფასების ასეთი აწევა აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ სპეკულიაციამ დღესასწაულის დროს ჩვეულებრივი მოთხოვნილება გამოიყენა თავის ინტერესებისათვის, მაგრამ სწორედ ეს ამტკიცებს, რომ ეს ყოველთვის და ყოველ ხელსაყრელ პირობებში აწევს ფასებს, რითაც ფართე მასისათვის პროდუქტები მიუწდომელი გახდება. მეორეს მხრით განახლდა მეტომრეობა („მეშოჩნიკობა“), რომელსაც თავისუფალმა ბაზარმა ბუნებრივად წაუყენა მოთხოვნილებები. მეტომრეები ავსებენ სადგურებს, აფუჭებენ რკინის გზის ვაგონებს, ავრცელებენ გადამდებ სენს და ამავე დროს ფასებს სწევენ ადგილობრივ ბაზრებზე. ამ გვარად მეტომრეობასაც არ ძალუძს ფასების დაწევა, მხოლოდ ის ამდიდრებს რამდენიმე მოხერხებულ და მოურიდებელ მწარმოებლებს და სპეკულიანტებს.

არ არის საკვირველი, რომ ეხლანდელ პირობებში თავისუფალ ვაჭრობის პირველმავე ცდამ გამოაფხიზლა არა-ზომიერი ოპტიმისტები, რომელნიც მოელოდნენ მისგან სასწაულებს, გაუცრუვა იმედები მუშების ფართე წრეებს. ყოველ მხრიდან გაისმის საჩივრები თავისუფალ ვაჭრობისაგან მიღებულ შედეგებზე. ისინი ირწმუნებიან, რომ ახალ დეკრეტებით მოიგებენ მარტო ჩარჩები და სპეკულიანტები. რამდენადაც ლაპარაკი თავისუფალ ვაჭრობას შეეხება, ისინი უმეტეს შემთხვევაში მართალნი არიან. **თანამედროვე პირობებში „თავისუფალი“ ბაზარი სრულებით არ არის თავისუფალი, არამედ იგი დამოკიდებულია სპეკულიანტებზე.**

ამ გვარად იმათ, ვინც თავისუფალ ვაჭრობაზე ყვიროდა, მიიღეს კარგი გაკვეთილი. რასაკვირველია, ამაში არ არის მუშათა მასების ხსნა. პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება სოფლიდან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ (კოოპერატიულ) საქონლის გაცვლის ორგანიზაციით. საქონლის გაცვლისათვის საჭიროა საქონელი. რომ იყოს საქონელი, უნდა შევქმნათ ის. **მაშასადამე ჩვენი ხსნა არის წარმოების გაძლიერებაში, მრეწველობის აღდგენაში.**

ეს არის უმთავრესი საკითხი. მაგრამ ამაზე მუდამ ასე გვპასუხებენ: „როგორ უნდა გაძლიერდეს წარმოება ღონე მიხდილ, მშიერ მუშების საშუალებით? ჯერ გააძღეთ ისინი და შემდეგ ილაპარაკეთ წარმოების გაუმჯობესებაზე. ამაზე უნდა მივსცეთ ასეთი პასუხი: „არა, ჯერ იმუშავეთ, გააკეთეთ შექმენით პროდუქტები და მაშინ შესაძლებელი იქნება თქვენი გამოკვება“. ამ რგოლის გარღვევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ, ენერგიული მუშაობით. რასაკვირველია, ცოტა რამე შეიძლება გაკეთდეს შესყიდვის და სხვა მანიპულიაციის საშუალებით, ამ მიმართულებით ცოტა რამ კიდევაც კეთდება, მაგრამ ამ პალიატიური საშუალებებით ბევრი არაფერი გაკეთდება. და თუ მრეწველობას არ გავაუმჯობესებთ, ჩვენ ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვალთ. მეტომრეობის და თავისუფალ კონკურენციის უნაყოფობაში დარწმუნებულმა მუშებმა ენერგიულად უნდა მოჰკიდონ ხელი პროდუქტების დამზადებას. ამ გზით ისინი შექმნიან სახელმწიფოსა და თავიანთ კოლექტივებისათვის **სოფელთან მიზანშეწონილი და ორგანიზაციულად მოწყობილ საქონლის გაცვლის ფონდებს. სხვა გამოსავალი გზა არ არის და არც შეიძლება იყოს.**

თავისუფალ ვაჭრობის მცირე ხნის პრაკტიკა სამეურნეო რღვევის და საყოველთაო ნაკლებობის ხანაში იძლევა ასეთ გაკვეთილს.

ი. სტეკლოვი.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**ამხ. კამენევის მოხსენება საკითხზე: „სოციალისტური რესპუბლიკა კაპიტალისტური ქვეყნების რკალში“**

(დასასრული)

დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ მეურნეობის ნგრევა იმდენათ თვალსაჩინოა, რომ, რასაკვირველია, ჩვენი ნედლი მასალა, რომელსაც შევყავართ მსოფლიო მეურნეობაში, ერთი საათითაც ვერ შეაკავებს რევოლიუციონურ პროცესს ევროპაში. მეორეს მხრით მსოფლიო მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარება არ ეწინააღმდეგება პროლეტარულ რევოლიუციას, არამედ პირიქით, აჩქარებს განვითარებას, ვინაიდან ამწვავებს წინააღმდეგობას.

მაგრამ არის პირობა, როდესაც მსოფლიო მეურნეობაში შესვლისას რუსეთი მართლაც იქნებოდა მსოფლიო იმპერიალიზმის დამხმარე ძალა. ეს მოხდება იმ შემთხვევაში თუ რომ მსოფლიო ბურჟუაზიის იმედები გამართლდება და რუსეთი შევა აღნიშნულ მეურნეობაში როგორც კოლონია, იმ სახით როგორც არის ინდოეთი ან ეგვიპტე, რომელნიც შეადგენენ მსოფლიო მეურნეობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, რომ რუსეთი მართლა ასეთ საფუძველზე ჩაება საერთო ფერხულში ეს იქნებოდა მისი საწარმოო ძალების განადგურება და ექსპლოატაცია რუსეთისა მსოფლიო მეურნეობის არსებობისათვის. და რომ გადავავლოთ თვალი იმას, რაც მოხდა ამ სამი წლის განმავლობაში, დავინახავთ, რომ მთელი ეს „კოლჩაკოვშჩინა“ და „დენიკინშჩინა“ იყო მხოლოდ ნიღაბი მსოფლიო კაპიტალისა, რომელიც ამ გზით ცდილობდა დაენახა რუსეთი მსოფლიო ბრუნვაში სწორედ კოლონიის სახით.

კოლონია ნიშნავს ევროპის კაპიტალის მიერ რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა შექსპლოატაციის ისეთ მეთოდს რომელიც დასცემდა ჩვენს საწარმოო ძალებს რა წყობილებამაც უნდა შეცვალოს საბჭოთა ხელისუფლება, შესცვლის მას მეფე თუ რესპუბლიკანიზმი, დემოკრატია თუ დამფუძნებელი კრება, ყოველ შემთხვევაში რუსეთი გადიქცევა კატორღის საპყრობილედ მუშებისა და გლეხებისათვის, რომელთაც უნდა აანაზღაურებინონ ყველა ის ხარჯები, რომელიც გასწია მსოფლიო კაპიტალმა. რუსეთს შეუძლია მსოფლიო მეურნეობაში მონაწილეობა ან როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ან როგორც კოლონიას. უკანასკნელ შემთხვევაში, თუ რუსეთის მონაწილეობა კოლონიის სახით მოხდებოდა მსოფლიო კაპიტალიზმის დამხობა რამდენიმე წლით გადაიდებოდა; რომ მას დღეს ხელში ჩაუვარდეს ხელ ფეხ შეკრული რუსეთი მისი სიმდიდრით და მუშა-გლეხთა შრომით კაპიტალიზმის სიკვდილი დიდათ დაიგვიანებდა. თუმცა არც ეს არის უდავო ამბავი. ძნელად შეიძლება ევროპა, რომელიც ასე გზა-კვალ აბნეულია თავის შინაგან ურთიერთობაში, ვერ შესძლებდა მოენელებია უზარმაზარი ტერიტორია, უდიდესი ქვეყანა და ამოეწურა მისგან ყველაფერი რაც საჭიროა მსოფლიო კაპიტალის აღსადგენათ ორი, სამი წლით მაინც. ეს შესაძლებლობა მოსპეს რუსეთის მუშებმა სამი წლის განმავლობაში, გააბათილეს საამისო წადილი და შექმნეს საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელმაც უკვე უნდა ისარგებლოს თავისი დამოუკიდებლობით, მაგრამ რა მიზნისთვის? ვინაიდან დრო ცოტა მაქვს მე შემიძლია მხოლოდ ზოგად მოსაზრებათა აღნუსხვა... ამხანაგებო, რომ სამი წლის განმავლობაში ჩვენ დაგვეცა საბჭოთა რუსეთის არსებობა. საჭირო იყო არმია. ამჟამად ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ საბჭოთა რუსეთმა, თუ მას სურს დაიცვას თავისი არსებობა, რაც შეიძლება სასწრაფოდ, გიგანტიური ტემპით უნდა განავითაროს საკუთარი საწარმოო ძალები. ამ შემთხვევაში ჩვენ წინ, როგორც მსოფლიო ეკონომიური შეჯიბრების ასპარეზზე გამარჯვებულების წინ იშლება ორი შესაძლებლობა: საკუთარ საწარმოო ძალთა განვითარებით, ჩვენ ან გამარჯვებული გამოვალთ ეკონომიურ ასპარეზზე, როგორც ეს მოხდა საომარ ფრონტზე, ან კაპიტალისტური ქვეყნები გაგვასწრებენ ჩვენ. საჭირო არ არის აქ თვალი დავხუჭოთ სინამდვილის წინაშე. ისე როგორც ჩვენ ბრძოლაში მივდიოდით და ვძლევდით სრულ ანგარიშს ჩვენ თავს, რომ მტერი უფრო ძლიერია ჯარისკაცთა რიცხვით მათი გაწვრთნით, ჩასაცმელ-დასახურით, იარაღით, ტანკებით, ზარბაზნებით ჰაეროპლანებით, ასევე ჩვენ გადაჭრით უნდა ვსთქვათ: თანამედროვე მომენტში კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენზე ძლიერია, მათ მეტი ორთქლმავლები აქვთ, მეტი მანქანები, მეტი ინსტრუმენტები, მეტი ორგანიზაცია, მათ უკეთ იციან მეურნეობის მოწყობა ვიდრე ჩვენ.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა არ ვიქნეთ იძულებულნი იარაღი დავყაროთ მათი ძალის წინაშე. რაში მდგომარეობს ეს შესაძლებლობა? საწარმოო ძალთა განვითარებაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ეხლავე, უმაგალითო სისწრაფით უნდა შევუდგეთ საკუთარ ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებას. ჩვენ მივადექით იმ საკითხს, რომელიც მეტად აღელვებს პარტიას: შევძლებთ თუ არა ჩვენ ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავებით ვიხსნათ და აღვადგინოთ ჩვენი მეურნეობა უცხო კაპიტალის დაუხმარებლად? თქვენ იცით რომ ეს კითხვა ხშირად იწვევს დიდ ცხარე კამათს. და აქ ყრილობაზე ჩვენ გარკვევით უნდა ვუპასუხოთ აღძრულ კითხვას.

ჩვენ ვამბობთ: „არა“ რა თქმა უნდა, აღდგენა ჩვენი მეურნეობისა მუშათა მასების გმირული, თავდადებული ამოძრავებით, უეჭველად შესაძლებელია. მაგრამ მიღწევა ჩვენი მუშაობის ტემპის იმ სისწრაფისა, რომელიც აუცილებელია, რათა სხვა ქვეყნებმა, თუ გინდ კაპიტალისტურ ორგანიზაციის ქვეყნებმა, არ გაგვასწრონ, უცხო კაპიტალის დაუხმარებლად ჩვენ არ შეგვიძლია.

რას ნიშნავს უცხო კაპიტალის დახმარება? ეს ნიშნავს შემდეგს, ისახავდა თუ არა ოდესმე რომელიმე პასუხისმგებელი კომუნისტი მიზნათ მთლიანად მსოფლიო მეურნეობის საფუძველზე დაყრდნობის გარეშე! მისი ტეხნიკური მიღწევების, მისი ნედლი მასალისა, მთელი მსოფლიო მეურნეობის ნედლი მასალის გარეშე, შეექმნა სოციალისტური რუსეთის მეურნეობა? არა, მიზანი ასე ვერ დაისახება, ამოცანა ასეთ ნიადაგზე ვერ დადგება. რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია სოციალისტური მეურნეობის აღდგენა, მაგრამ ჩვენთვის აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა ტეხნიკური მიღწევანი, მანქანები, ნედლი მასალა, წარმოების ყველა საშუალებანი, რომელთაც უცხოეთი ქმნის. აქ ჩვენს წინაშე ორი გზა არის. აღნიშნული დახმარება ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ პროლეტარული სოლიდარობის ნიადაგზე, ვსთქვათ მაგ., ქალდი, რომელიც გვაკლია, მივიღეთ ფინლიანდიიდან სოლიდარობის საფუძველზე ფინლიანდიის საბჭოთა რესპუბლიკასთან. მაგრამ როცა ეს არ არის, როცა ლოკომოტივი მანქანები, წარმოების საშუალებანი ნედლი მასალა იმყოფება კაპიტალისტური ორგანიზაციის ხელში, განა შეგვიძლია ჩვენ მათზე უარი ვსთქვათ? ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ იძულებული ვართ ყველა ჩვენთვის საჭირო მასალა მივიღოთ კაპიტალისტური ორგანიზაციის ხელიდან. აქ იბადება ორი კითხვა. თუ ჩვენ თანახმა ვართ მივიღოთ დახმარება, ჩვენთვის სხვები ვამუშაოთ, გამოვიყენოთ უცხო ქაპიტალი კონცესიების სახით, რატომ იგივე არ უნდა მივსცეთ რუს კაპიტალისტებს? ამას ხშირად ამბობენ ფართო მასიურ კრებებზე. ხალხი, რომელიც საკითხს ასე აყენებს, ვერ ხედავს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ხელისუფლების მიერ დათმობასა და ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ეკონომიური დათმობის შორის. როდესაც ჩვენ ვამბობთ: რუს კაპიტალისტებს შეუძლია გააკეთონ იგივე, რასაც ჩვენ ვაკეთებინებთ უცხოელ კონცესიონერებს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენ რუს—კაპიტალისტს უნდა დავუთმოთ ხელისუფლება. ხოლო როდესაც ვამბობთ—ჩვენ ვიწვევთ უცხოელ კონცესიონერებს მათი მანქანებით, ტეხნიკით, ნედლი მასალით, მათი ცოდნით, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მათ ვიწვევთ იმისათვის, რომ იმუშაონ, დაამუშაონ რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრენი, ნაწარმოების ამა თუ იმ ნაწილის მიღების სანაცვლოდ. აქ ჩვენ მივდივართ ეკონომიურ დათმობაზე საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის. აი განსხვავება აღნიშნულ ორ საკითხს შორის.

ამხანაგები ზოგჯერ ეკითხებიან თავის თავს: კეთილი, ჩვენ დავუთმეთ უცხოელ კაპიტალს—კონცესია დათმობა არის—მაგრამ რა უნდა მივცეთ ჩვენ მას სამაგიეროთ? რასაკვირველია, უცხო კაპიტალის დახმარება ამა თუ იმ ბუნებრივ სიმდიდრის დასამუშავებლად შეუძლებელია თუ მას სამაგიერო არ მიეცა; ჩვენ მას მივსცემთ ხარკს.

აქ ყრილობაზე ნათლად უნდა გავსცეთ პასუხი კითხვას—შეგვიძლია თუ არა ჩვენ თავიდან ავიცილოთ უცხო კაპიტალისათვის ხარკის მიცემა; არა, არ შეგვიძლია. ჩვენ უნდა მივსცეთ ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენის გამო და მეორეს მხრით უცხო კაპიტალს უნდა ვაძლიოთ გადასახადი იმის გამო, რომ მსოფლიო რევოლიუცია არ იძვრის ჩქარი ნაბიჯით და თავის ხელში არ იღებს წარმოების იარაღებს იმ სისწრაფით, როგორც ეს სასურველი იქნებოდა.

რა ზომისაა აღნიშნული ხარჯი? რომ გავითვალისწინოთ რაოდენობა ხარჯისა რომელიც ჩვენ უნდა მივსცეთ გარს შემორტყმულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, უნდა გავაკეთოთ ერთი შედარება. რამდენი უნდა გადაიხადოს მაგ. კაპიტალისტურმა გერმანიამ კაპიტალისტური ინგლისისა და საფრანგეთის სასარგებლოთ თავისი დამარცხების გამო? თქვენ იცით რომ სულ რამდენიმე ხნის წინად განსაზღვრა ის ციფრები, რომლის მიხედვით გერმანიამ კონტრიბუციის სახით, ხარკის სახით უნდა გადაიხადოს 42 წლის განმავლობაში 120 მილიარდი ოქროს მანეთი. რამდენი ჯდება ჩვენ გადასახდელი? მე ავიღებ სავარაუდო ციფრებს. თქვენ იცით რომ ჩვენი საწარმოო ძალების განვითარების საშვალება გარკვეულია საბჭოთა მე 8 ყრილობის მიერ,—ეს არის რუსეთის ელექტროფიკაცია. ჩვენ მიერ დასახული მეურნეობა მდგომარეობს იმაში, რომ საჭირო გადაიარაღება, ახალი სისტემის იარაღის ასხმა. იმ ეკონომიური მოწყობილობით, იმ ტეხნიკური საშვალებით, რომლითაც ჩვენ ამ ჟამად გამოვდიოდით მსოფლიო ასპარეზზე, გამარჯვება ფრიად საძნელოა. მიუხედავათ იმისა რომ ჩვენ გვაქვს უზარმაზარი ფონდები კერძო საკუთრების გაუქმების გამო, თუ ეს სოციალური გამარჯვება არ გამოვიყენეთ, თუ დაუყოვნებლივ არ შევცვალეთ ანარქია რაციონალური მეურნეობით, პირველყოფილი მეთოდები უფრო მეცნიერული ადამიანის ენერგიის შემნახველი და დამზოგველი მეთოდებით, ე. ი., ელექტროფიკაციით, ჩვენ გაგვასწრებს ეკონომიურად უფრო ძლიერი ქვეყნები.

რა ხარჯები იქნება ჩვენთვის საჭიროა რომ ეს ტეხნიკური გადაიარაღება მოვახდინოთ? რუსეთის სახელმწიფოებრივი ელექტროფიკაციის სპეციალურმა კომისიამ შეადგინა დაახლოებით გეგმა კომისიამ გამოიანგარიშა: რომ ორჯერ გავადიდოთ ჩვენი შინამრეწველობა, რომ თითქმის ორჯერ—80 პროცენტით გავადიდოთ ეგ მრეწველობა, რომ 10 წელიწადში განვახორციელოთ ელექტროფიკაციის პროგრამა, რომ, დასრულ ავადგინოთ და შევადგინოთ ჩვენი ტრანსპორტი, ჩვენთვის აუცილებელია 10 წლის განმავლობაში ვიღებდეთ უცხოეთიდან ყოველგვარ ნაწარმოებს, მასალებს, მანქანებს, ინსტრუმენტებს და ნედლ მასალას, სულ 17 მილიარდ ოქროს მანეთად ღირებულს. ეს ციფრები შედეგია დიდი მეცნიერული შრომისა, მაგრამ აბსოლიუტური სისწორე, რასაკვირველია, მათ აკლია, ეს არის მხოლოდ დაახლოებითი ანგარიში. რომ ჩვენ უცხოეთში სრულიად არაფერი გავზიდოთ, ხოლო იქიდან საჭირო ნივთები შემოვიტანოთ და ყველაფერზე წმინდა ოქრო ვაძლიოთ, თუმცა ეს ასე არ არის—ცოტა რამეს ჩვენც გავიტანთ და გარდა ამისა კონცესიონერებს მივსცემთ ტყეს და კამჩატკას,—მაგრამ რომ ეს ასეც იყოს, რომ ვჰთქვათ ლურსმანზე, ტერმომეტრზე, თასმაზე, მავთულზე და სხვ. ჩვენ ვაძლიოთ წმინდა ოქრო, ამ შემთხვევაშიაც რუსეთის ტეხნიკური გადაიარაღების პლანის განხორციელება, რუსეთის ტეხნიკურად მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების საერთო რიგში ჩაყენება, გამოიწვევდა მხოლოდ 17 მილიარდ მანეთის ხარჯს.

ეხლა შევადაროთ, ამხანაგებო, ის ხარჯი, რომელიც უნდა გადაიხადოს კაპიტალისტურმა გერმანიამ, ე. ი., 120. მილიარდი მანეთი, იმ ხარჯს რომელიც

# დღეს ნომერში:

**ამ ზაფხულისათვის მოსკოვში დანიშნული აღმოსავლეთის ქალთა ყრილობა გადადებულია მომავალი წლისათვის.**

**პირველ ივლისს მოსკოვში გაიხსნება საერთაშორისო წითელ პროფკავშირთა ყრილობა.**

**ამერიკა ისევ უბრუნდება ევროპის საქმეებში აქტიური მონაწილეობის მიღების პოლიტიკას.**

**ამერიკის მთავრობამ და ბურჟუაზიამ გააძლიერა ბრძოლა რევოლიუციონერების წინააღმდეგ.**

**ინგლისში ნახშირის კრიზისმა უმაღლესს წერტილს მიაღწია.**

ჩვენ უნდა გადავიხადოთ, როგორც დამოუკიდებელმა დაუმარცხებელმა სახელმწიფომ, და თქვენ დაინახავთ, რომ კაპიტალისტურმა გერმანიამ 40 წლის განმავლობაში ყოველწლიურად უნდა იხადოს სამჯერ მეტი, ვიდრე ჩვენ 10 წლის განმავლობაში. ეს არის წმინდა თეორეტიული ანგარიში, მაგრამ პრაქტიკულად იგი გვიჩვენებს, რომ ჩვენ ისეთსავე მდგომარეობაში ვართ, როგორც ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფონი. ჩვენ შეგვიძლია მოვიწვიოთ ბუნებრივ სიმდიდრის დასამუშავებლად უცხო კაპიტალი. ჩვენ უნდა მოვიწვიოთ იგი, რათა სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება. ამისათვის ჩვენ უნდა ვიხადოთ ასეთი თუ ისეთი ხარკი. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უცხო კაპიტალი, რომელმაც უნდა იმუშაოს ჩვენ მიერ წარდგენილ პირობების თანახმად, შეუგნებლად გაითხრის თავის სამარეს. უმისოდ ჩვენ ვერ მოვახერხებთ გადაიარაღებას,—ასეთია ისტორიის დიალექტიკა, უმისოდ ჩვენ ვერ განვახორციელებ რუსეთის ელექტროფიკაციას, მაგრამ შეუწყობს რა ხელს საბჭოთა რუსეთის გაძლიერებას, მისი საწარმოო ძალების განვითარებით, იგი შეასრულებს იმ როლს, რომელიც მარქსმა იწინასწარმეტყველა: „კაპიტალი სთხრის თავის ისტორიულ სამარეს“. ჩვენში, რუსეთში ეგ კაპიტალი, ნახშირისათვის დაკრული თვითეული ბარით, ნავთის თვითეული კასრით (ვედრით), რომელსაც ჩვენ ვიღებთ უცხო ტეხნიკის დახმარებით, გაითხრის თავის ისტორიულ სამარეს.

ამის გამო, ყოველგვარი სასოწარკვეთილებისა და უიმედობის გარეშე, ღრმა შეგნებით, რომ, რათაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ რუსეთში სოციალისტური მეურნეობის მთავარი საფუძვლები და დაუცადოთ იმ მომენტს, როცა ჩვენ ქვეყანას, გაღარიბებულ და დანგრეულ ქვეყანას, შეუერთდება პროლეტარული საბჭოთა რესპუბლიკები, სხვა, მრეწველურად და ეკონომიურად უფრო განვითარებულ ქვეყნებისა, ამ ღრმა შეგნებით და იმედიანი გულით, ჩვენ დღეს ხელში უნდა ავიღოთ ახალი იარაღი, რომელიც მოვიპოვეთ სამი წლის ბრძოლის შედეგათ, ე. ი. მოვიწვიოთ დახმარებისათვის უცხო კაპიტალი.

კაპიტალისტური რკალი შეკრული არ არის; კაპიტალისტები ყოველი მხრიდან არ გვარტყია; კაპიტალისტებს წრის ნახევარი უჭირავს, მეორე ნახევარზე სდგას აჯანყებული აზია, რევოლიუციონური, აზია არა კაპიტალისტური. თუ ჩვენ ვახერხებთ ჩვენი თავის გადარჩენას, ეს იმიტომ, რომ შეიქმნა ერთგვარი წონასწორობა ევროპასა და აზიას შორის, რომელიც უკვე შეინძრა და თავი წამოჰყო. ისტორიული აზრით, ჩვენ ვდგევართ შუაგზაზე, პოლიტიკურადაც და გეოგრაფიულადაც ჩვენ მათ შორის ვიმყოფებით. შემთხვევითი არ არის რომ ინგლისის ხელშეკრულების პირველ პუნქტში, ინგლისის კაპიტალისტები ამბობენ: ჩვენ ვივაჭრებთ თქვენთან თუ ხელს აიღებთ პროპაგანდაზე ეგვიპტეში, ინდოეთში, ავღანისტანში და სხვ. მიუხედავათ კაპიტალისტური რკალისა ჩვენ გადავარჩენთ საბჭოთა რუსეთს. (ტაში).

### ბორჯომი

(დეპეშით) 22 მაისი. დაიწყო მუშაობა ჯანსაღობის განყოფილების კომისიამ, რომელიც ამოწმებენ იმ პირთ, ვისაც ესაჭიროება სანატორიუმი და საავადმყოფო წამლობა.

სოფელ ჩაბის-ხევში მძვინვარებს შებრუნებული სახადი. თითქმის ყოველ სახლში ავ თმყოფია. ჯანსაღობის ბორჯომის განყოფილება ენერგიულ ზომებს იღებს მძვინვარე სენის მოსასპობად.

ამ დღეებში სოფელში მიემგზავრება საეპიდემიო რაზმი.

დიდ სოფელ გურჯაანში გაიხსნა გრუკავროსტას სარაიონო სამკითხველო რომლითაც სარგებლობს 12 ახლო მახლო სოფელი. მეტათ მწვავე საჭიროებაა ლიტერატურისა და გაზეთებისა ოსურ ენაზედ.

### ხაშურში.

საბჭოთა აღმშენებლობა ხაშურის რაიონში მარჯვეთ ეწყობა, მხოლოდ აკლია პარტიული მუშაკნი და სააგიტაციო ლიტერატურა. შაბათობა კარგათ ჩაივლის ხოლმე. კვირაში ორჯერ ადგილობრივი კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება სდგამს წარმოდგენებს რუსულ და ქართულ ენაზე. რევკომმა მოაწყო ორი უფასო სასადილო საბჭოთა მოსამსახურეებისათვის. თესვა რაიონში მიდის ლოზუნგით: „არც ერთი მუჭა მიწა არ დარჩეს დაუთესავი“. დიდი ქარისაგან ძლიერ დაზარალდა თითქმის ანეულის ყანები. გაზაფხულის ნახნავების სივრცეს წელს მოემატა 10—15% შედარებით შარშანდელთან. თესვა თავდება.

### თელავში.

19 მაისი (ტელეგრ.) კომ ჩანასახის ინიციატივით სოფელ ახალ-გავაზში საერთო ძალებით მოხნული და დამუშავებულია ღარიბ გლეხთა მიწები და ამას გარდა დათესილია 16 დესეტინა მიწა სოფლის საჭიროებათათვის. ზომებს ხმარობენ მათთვის დახმარების აღმოსაჩენად. სოფლის რევკომმა კომუნალური საკერავი სახელოსნო დააარსა, რომელიც სამგვარ მატერიას ამზადებს. კონდოლის სახელოსნო აგრეთვე სოფლის მუშების საჭიროებების დაკმაყოფილებას შესძლებს.

— ახლომახლო სოფლების დეზერტირები ნელ-ნელა ბრუნდებიან თავის ნაწილებში.

# საბჭ. საქართველოში

გრუკავროსტას დეპეშები

### წითელი ლაშქრის ორგანიზაცია.

**ბათუმი.** 22 მაისი (დეპეშა). გრუკავროსტას თანამშრომელთან საუბრის დროს საოლქო სამხედრო კომისარმა ამხ. კლენტმა განაცხადა: „ქართულ წითელ ლაშქრის ორგანიზაცია წარმატებით მიმდინარეობს. ქართულ ლაშქრის ორგანიზაციაში, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია გამოვიყენოთ საბჭოთა რუსეთის გამოცდილება, რის წყალობითაც შეიძლება თავიდან ავიცილოთ ბევრი დეფექტები. და მოკიდებულება საქართველოს და რუსეთის წითელ ლაშქრის შორის მშვენიერია. უახლოეს დროში დაიწყება ყოფილ მეჩშევიკურ ლაშქრის ოფიცერთა გამოცდები, საქართველოს წითელ ლაშქრის სარდლობის შემადგენლობის შესავსებათ.

**ბათუმი** (დეპეშით) 21 მაისი. 18 და 19 მაისს ბათუმში მოვიდა 13 ნავი, რომლებმაც მოიტანეს ფორთოხალი, შაქარი, ფქვილი და შეშა. მოვიდა სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის თავმჯდომარე, ამხ. ქავთარაძე, სამხედრო ტრიბუნალი ამ დღეებში იწყებს მოქმედებას. ჩაქვის პლანტაციებში მუშაობა წარმატებით სწარმოებს საბჭოთა მოსამსახურეთა და წითელ არმიელების მონაწილეობით. ყოველდღიურათ ჰკრეფენ 1000 გირვანქას. მუშების მომარაგების დროებით ბიუროსთან, ეკონომიურ კომისარიატების მონაწილეობით დაარსდა განსაკუთრებული კომისია კომისიის მთავარი ყურადღება მიქცეულია ბოსტნების და აგრეთვე შემკეთებელ სახელოსნოების ფართო მასშტაბით მოწყობაზედ. აგრეთვე შეიმუშავა მანუფაქტურით. ფეხსაცმელით და საპნით მუშების მომარაგების გეგმა.

# საბჭოთა რუსეთში

გრუკავროსტას დეპეშები

### ყრილობა წითელ პროფესიონალურ ინტერნაციონალისა.

**მოსკოვი.** 22 მაისი. (რადიო) საერთაშორისო გაერთიანება წითელ პროფკავშირებისა, რომელსაც საფუძველი ჩაყარა ერთი წლის წინეთ, თავს იყრის ყრილობისათვის მოსკოვში პირველ ივლისს. მესამე ინტერნაციონალს, რომელშიაც ირიცხება 3 მილიონამდის პოლიტიკურ ორგანიზაციულათ შეკავშირებული მიმდევრები, მხარს უჭერს აგრეთვე საერთაშორისო პროფკავშირთა საბჭო, რომელშიც ირიცხება 10 მილიონამდე წევრი. სამრეწველო კრიზისი, რომელიც მოედვა მთელ კაპიტალისტურ ქვეყანას, ხელს უწყობდა მარცხნისაკენ გადახრას, არამც თუ სოციალისტურ პარტიებისას, არამედ პროფესიონალურ ორგანიზაციებისაც. ლოკაუტები, იძულებითი თავდაცვითი გაფიცვები, უმუშევრობა, ხელფასის შემცირება და სხვ. არწმუნებენ მთელ ქვეყნის მშრომელ მასას იმაში, რომ კაპიტალისტებს არ შეუძლიათ ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელობის გაწევა.

### აღმოსავლეთის ქალთა ყრილობის გადადება

**მოსკოვი.** 19 მაისი (რადიო) აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, დაღესტანის, ყირგიზის, მთიელების, ბაშკირეთის, უკრაინის, თათართა, თურქესტანის, ბუხარეთისა და ხივის ცეკას, თანახმათ რ. კ. პ. ცეკას დადგენილებისა, სასურსათო კრიზისის გამო მიმდინარე წლის ზაფხულს დანიშნული აღმოსავლების ქალთა ყრილობა გადადებულია მომავალი წლისათვის. წინადადება ეძლევა ზემო—დასახელებულ ყველა ცეკას შერებულ იქნას ამ ყრილობის წინასწარი სამზადისი. ეს მუშაობა უნდა გამოყენებულ იქნას მიმდინარე... (დამახინჯებულია) განყოფილებათა მთელი ძალა უნდა დაეყრდნოს უმთავრესი და ძირითადი (დამახინჯებულია) მიზნის განსახორციელებლად. და ყრილობისათვის დამზადებული მთელი მასალები გადაეცეს განყოფილებას... (დამახინჯებულია) ქალთა შორის... (დამახინჯებულია) ცეკას მდივანი მოლოტოვი. ქალთა განყოფილების გამგე კოლონტაი. (კავროსტა)

### რკინის გზის მიმოსვლის ტარიფი.

**მოსკოვი,** 8 მაისი. გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატთან არსებული სატარიფო კომისია იხილავს სამგზავრო და საბარგო ტარიფების საკითხს. ამ საკითხის განხილვას საფუძვლათ უდევს ის გარემოება, რომ მიმოსვლის, ბარგის გადაზიდვის ფასები ფულის თანამედროვე ღირებულებასთან შედარებით მეტად მცირეა. კომისარიატმა გადასწყვიტა გაადიდოს ტარიფი 20 ჯერ დღევანდელთან შედარებით და 1000 ჯერ ომამდის არსებულ ტარიფთან შედარებით, საგარეუბნო ტარიფთან შედარებით. საგარეუბნო ტარიფი გადიდდება ათჯერ ამ ჟამათ არსებულ ტარიფთან შედარებით ბარგის გადასაზიდ ტარიფის გადიდების საკითხის შესახებ ჯერ არავითარი დადგენილება არ არის მიღებული.

ტარიფის ასეთი გადიდება აიხსნება სახელმწიფოს მიერ მცხოვრებთაგან ფულის ნიშნების უკან დაბრუნების მოსაზრებით და ეს განსაკუთრებით მცხოვრებთა იმ ნაწილისაგან, რომელიც სპეკულიაციას ეწევა.

— გადაზიდვის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა პროექტი, რკინისა და ზღვის გზებზე მომავლის განსაზღვრულ რაოდენობამდე შემცირების შესახებ.

### მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება.

**მოსკოვი.** 7 მაისი. რესპუბლიკის მუშათა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისიის თავმჯდომარე, ამხ. შლიაპნიკოვი იუწყება მაისის-პირველამდე მთელ რუსეთში მოეწყო, მუშათა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი 15 საგუბერნიო კომისია. [illegible] კომისიის მიზანია აიძულოს საბჭოთა დაწესებულებანი საჩქაროთ შეასრულოს ის სამუშევარი, რომელიც გააუმჯობესებს მრეწველობის მუშათა მდგომარეობას და ეცადოს მუშათა ყოველ მხრივ დაკმაყოფილებას. თავის მოქმედების პირველ ნაბიჯებთანავე კომისიას მოუხდა შეხვედრა საბჭოთა დაწესებულებების ბიუროკრატიზმთან, რომელთა შესახებაც მოუხდათ პარტიულ ზეგავლენის მოხდენა.

### ორ ყრილობის გაერთიანებულ სექციაში.

**მოსკოვი.** 22 მაისი. (რადიო). გამოვიდა რა მოხსენებით საორგანიზაციო საკითხის შესახებ ამხ. ტიპეროვიჩმა აღნიშნა, რომ პროფაღმშენებლობა იმყოფება მჭიდრო კავშირში ქვეყნის ეკონომიურ აღმშენებლობასთან. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლითონის მრეწველობაში 68 წარმოებისაგან, რომელიც ემსახურებოდა ლითონის მრეწველობას 1903—1914 წლებში, ამჟამათ მთავარ კომიტეტის გამგეობაში იმყოფება მხოლოდ 44 ქარხანა. ნავთის მრეწველობის სფეროში ჩვენ გვაქვს ნავთიამოღების დაკლება და ახალ ორმოების რიცხვის შემცირება. შუშის მრეწველობაში დასახული მიზანი ვერ აღემატა 10. საერთო სურათი ჩვენი მრეწველობისა ისეთია, რომ ერთის მხრივ ჩვენ ვხედავთ თითქოს ქრება ჩვენი მრეწველობა, მეორე მხრივ კი, იმ რაიონებში, სადაც არის მოხერხებული შეთანხმება სათბობი და სურსათისა, ემჩნევა მრეწველობის ზრდა. სამი ძირითადი მომენტი ახასიათებს ჩვენს მრეწველობის მდგომარეობას: 1) ჩვენ დავხარჯეთ ძველი მარაგი ნედლი მასალისა ფაბრიკატებისა, სათბობის, 2) ჩვენ სრულიათ გადავდივართ ფრონტის საჭიროებათა წარმოებიდან ახალ ურთიერთობაზე გლეხებთან; 3) აუცილებელია ეკონომიურ აღმშენებლობის დროს ანგარიში გაეწიოს ეკონომიურ ცხოვრების ყველა მეორე ხარისხოვან მიმდინარეობასაც. ჩვენ თუ ვართ გლეხთა დასახმარებლათ, ვეცადოთ, რომ განვითარდეს შინა-მრეწველობა, რითაც ჩვენ ხელს შეუწყობს წვრილ კაპიტალისტურ მისწრაფებათა განვითარებას, მაშინ ბუნებრივათ იბადება საკითხი მსხვილ და მწვრილ მრეწველობათა ქალაქის პროლეტარიატის და გლეხების და კოოპერატიულ ორგანიზაციების და შინამრეწველობის ურთიერ დამოკიდებულებათა შესახებ. უეჭველია ისიც, რომ ჩვენ მრეწველობის საორგანიზაციო აღმშენებლობაზე გავლენას იქონიებს კავშირი ევროპის კაპიტალიზმთან. შემდეგ მომხსენებელმა ამხ. სვერდლოვმა აღწერა უ. ს. მ. ს. დაარსების და მოღვაწეობის ისტორია და აღნიშნა, რომ ეკონომიურ მდგომარეობის შეცვლის გამო აუცილებელია ამ აპარატის

# თეზისები.

**ამხ. ფ. მახარაძის მოხსენებისა მიმდინარე მომენტის შესახებ საქართველოს უპარტიო ქალთა ყრილობაზე.**

1. მთელი ქვეყნიერება დღეს გაპობილია ორ ნაწილათ: ერთ მხარეზე დგანან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთაურობით მე-2 მხარეზე დგანან ისევ ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ავსტრია, უნგრეთი, ამერიკა და სხვ.). თავი-და თავი განსხვავება ამ ორ ბანაკს შორის ძდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში სახელმწიფო ძალა-უფლება ხელთ უპყრია მუშათა კლასს მის მოწინავე რაზმის ქალაქის და სოფლის პროლეტარიატის სახით და კომმუნისტური პარტიის მეთაურობით. მუშათა კლასი ახორციელებს თავის ხელისუფლებას იმ მიზნით, რომ დასძლიოს მდიდრების, კაპიტალისტების, მემამულეების და ვაჭრების სასტიკი წინააღმდეგობა, რომ საბოლოოთ მოისპოს საზოგადოების კლასსებათ დაყოფა და ადამიანთა ყვლეფა და დაამკვიდროს კომმუნისტური საზოგადოება, ე. ი. **სრული თანასწორობა და ძმობა ყველა მშრომელთა.**

წინააღმდეგ ამისა, ბურჟუაზიული სახელმწიფოებში მთელი ძალა-უფლება ხელთ უპყრიათ მდიდრებს, ე. ი. კაპიტალისტების და მემამულეების პოლიტიკურ პარტიებს, ბურჟუაზიას და ხანდისხან სოციალ-დემოკრატ. მენშევიკებსაც, როგორც ამას ადგილი ქონდა ერთ დროს გერმანიაში და საქართველოში. ბურჟუაზიული და მენშევიკური პარტიები მთელი თავიანთი ძალ ღონით ეწინააღმდეგებიან და დაუზოგველათ ებრძვიან საბჭოთა რესპუბლიკებს, ისინი ცდილობენ მუშათა კლასსის ხელისუფლების დამხობას საბჭოთა რესპუბლიკებში, რომ ძველი მთლიანი ბურჟუაზიული ქვეყნიერება ისევ აღადგინონ და მით სოციალისტური წესწყობილების დამყარება დიდი ხნით გადადვან.

მაგრამ, საბედნიეროთ, ეს ბრძოლა მუშათა კლასის, პროლეტარიატის და მშრომელი გლეხკაცობის სასარგებლოთ მიმდინარეობს. ერთის მხრით ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება თანდათან მაგრდება და მტკიცდება და მასთან ერთად მისი სფეროც ფართოვდება (საბჭოთა რუსეთის გარდა, საბჭოთა თურქესტანი, აზერბეიჯანი, ბუხარა, სომხეთი, საქართველო და სხვ.). მეორე მხრით ბურჟუაზიული სახელმწიფოების დაშლა-დარღვევის პროცესი დაჩქარებით გრძელდება, იმათი გახრწნა ელვის სისწრაფით აახლოვებს იმათ ბოლოს. ბურჟუაზიული სახელმწიფოები თავს ველარ ახწევენ ეკონომიურ კრიზისს და უმუშევრობას; მუშების და გლეხების ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები და რევოლიუციონური შეტაკებანი ამტკიცებენ, რომ ბურჟუაზიულმა წესწყობილებამ სულ ახლო მომავალში ადგილი უნდა დაუთმოს ყოველგან საბჭოთა ხელისუფლებას, მუშათა კლასის დიქტატურას. მუშათა კლასი ვერ დამშვიდდება, ბრძოლას ვერ შესწყვეტს, სანამ იგი ძალა-უფლებას ხელში არ ჩაიგდებს ყველა ქვეყნებში, როგორც ეს მოხდა რუსეთში და ჩვენში.

2. ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ მუშა ხალხი პროლეტარიატის და სოციალისტურ პარტიების მეთაურობით დიდი ხანია აწარმოებს შეუწყვეტელ ბრძოლას; უკვე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, სახელდობ 1848 წლიდან, ეს ბრძოლა გარკვეულ პროლეტარულ ხასიათს ღებულობს. 1864 წელს კარლ მარქსის თაოსნობით და მეთაურობით შესდგა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა—ეს იყო პირველი ინტერნაციონალი. მაგრამ ცალკე ქვეყნებში ჯერ კიდევ განუვითარებელი მუშათა ორგანიზაციების ძალას აღემატებოდა ბურჟუაზიული სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლა ბურჟუაზიის ჩამოსაგდებლათ. პირველი ინტერნაციონალი იძულებული შეიქნა ათი წლის მედგარი და გმირული ბრძოლის შემდეგ დროებით თავის მოქმედება შეეწყვიტა. მხოლოდ 15 წლის შემდეგ შესაძლებელი შეიქნა სხ. და სხ. ქვეყნების მუშების თავის მოყრა და კვლავ ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში დარაზმვა. ეს მოხდა 1889 წელს პარიჟის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე, როცა მარქსი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამნაირათ წარმოსდგა მეორე ინტერნაციონალი, რომლის სულის ჩამდგმელი შეიქნა სოციალ-დემოკრატია, რომელშიაც დროთა განმავლობაში თავი იჩინა ბურჟუაზიასთან შემათანხმებელმა მიმდინარეობამ, რაც არსებითად მოასწავებდა **ღალატს მუშათა კლასისადმი.** ეს გარემოება სავსებით გამოაშკარავდა 1914 წელს, როცა იფეთქა **მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა.** ეს ომი იყო გამოწვეული სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტების და მემამულეების ურთიერთ შორის ქიშპობით მუშა ხალხისაგან ანაგლეჯი სიმდიდრის გასანაწილებლათ, თუ რომელი ქვეყნის: ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის და სხვ. მყვლეფელებს და მძარცველებს უნდა შეხვდენოდა უდიდესი ლუკმა. როცა მსოფლიო მძარცველებმა ქვეყნიერება ომის ცეცხლში გაახვიეს, მეორე ინტერნაციონალის ბელადები და ხელმძღვანელები ე. ი. მენშევიკები, რომლებიც მეორე ინტერნაციონალის დიდ უმრავლესობას შეადგენენ, მუშა ხალხის სისხლის მსმელ კაპიტალისტებს და მემამულეებს შეუერთდენ და თავთავიანთ ქვეყნების მუშებს მოუწოდებდენ მუშა ხალხის ურთი-ერთ გასაჟლეტათ ბურჟუების და მძარცველების სასარგებლოთ. იმის მაგიერ, რომ იმპერიალისტური ჟლეტა-ხოცვის წინააღმდეგ აღემართათ სამოქალაქო ომის დროშა და თავიანთ ქვეყნების მძარცველების წინააღმდეგ მუშებისთვის მოეწოდებიათ, ისინი შეუერთდენ თავ თავიანთ სისხლის მსმელ ბურჟუაზიულ მთავრობებს თავიანთ ძმების და ამხანაგების გასაჟლეტათ და ამოსაწყვეტათ ამით მეორე ინტერნაციონალმა სამარცხვინოთ მოუღო ბოლო თავის არსებობას; ამით სოციალ დემოკრატებმა — მენშევიკებმა აშკარად აღიარეს, რომ ისინი მუშათა კლასსის ინტერესების დამცველები აღარ არიან, რომ ისინი ბურჟუაზიის ნამდვილი მსახურები და ლაქიები შეიქნენ. მაგრამ მეორე ინტერნაციონალის წიაღში იყო მცირე ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა მუშათა კლასის ინტერესების ნამდვილ და ერთგულ დამცველთაგან. ესენი იყვენ რუსეთის ბოლშევიკები (კომუნისტები) ლენინის მეთაურობით, მემარცხენე ჯგუფები **კარლ ლიბკნეხტის, როზა ლიუქსემბურგის, ხეგლუნდის** და სხვ. მეთაურობით. ამ მცირე რიცხოვანმა ჯგუფმა უსასტიკესი ბრძოლა გამოუცხადა სოციალ გამყიდველებს და სოციალ-პატრიოტებს—მენშევიკებს შეიდემანებს, ნოსკეებს, პლეხანოვებს, ჟორდანიებს და სხვებს; იმათ გადაისროლეს ლოზუნგი **მესამე კომმუნისტური ინტერნაციონალის შესაქმნელათ** და იწყეს შეუპოვარი და დიდი ბრძოლა ამ ლოზუნგის განსახორციელებლათ.

3. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ პირველათ ჩააგდო მსოფლიო იმპერიალისტური ომი საგონებელში, იმპერიალისტური რუსეთი პირველათ დაეცა ამ ომის სიმძიმის ქვეშ. პეტროგრადის მუშებმა რევოლიუციონურ ჯარისკაცებთან ერთათ ერთი დაკვრით დაამხეს მტარვალ რომანოვების სამეფო ტახტი, და იმავე დროს შექმნეს მუშების და გლეხების რევოლიუციონური საბჭოები. მაგრამ იქაც ამოყვეს თავი მუშების და გლეხების მოღალატეებმა მენშევიკების და სოც.-რევოლიუციონერების სახით. იმათ არ უნდოდათ, რომ ქალაქის მუშებს და რევოლიუციონურ გლეხკაცობას ჩაეგდოთ ხელში სახელმწიფო ძალა უფლება; იმათ არ უნდოდათ, რომ ქალაქის მუშებს გადასცემოდათ ფაბრიკები, ქარხნები და რკინის გზები, იმათ არ უნდოდათ, რომ მშრომელი გლეხკაცობა დაპატრონებოდა ყველა მიწებს. ისინი ცდილობდნენ მუშების და გლეხების დატყუილებას და სახელმწიფო ძალა უფლების ისევ კაპიტალისტების და მემამულეების ხელში დატოვებას.

მაგრამ რუსეთის პროლეტარიატმა და რევოლიუციონურმა გლეხკაცობამ თავის დროზე აუღო ალღო მენშევიკებს და ესერებს. 1917 წ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) პეტროგრადის და მოსკოვის პროლეტარიატმა კომმუნისტური პარტიის მეთაურობით კისერი მოუგრიხა მენშევიკების და ესერების ბურჟუაზიულ მთავრობას და მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება **გადასცა მუშების, გლეხების და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოებს.** აშკარაა, ამ უდიდეს რევოლიუციას, რომელიც ყველა მჩაგვრელ მყვლეფელ კლასების სიკვდილს მოასწავებდა, კაპიტალისტები, მემამულეები და მიტროპოლიტ ეპისკოპოსები გულგრილათ ვერ შეხვდებოდნენ, და ყველა ამათ მენშევიკების და ესერების აქტიური დახმარებით დაუყონებლივ გააჩაღეს სასტიკი და ულმობელი ომი რუსეთის პროლეტარიატის და რევოლიუციონური გლეხკაცობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში რუსეთის კაპიტალისტებს და მემამულეებს ჩქარა შეუერთდენ სხვა ქვეყნის: ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხ. სახელმწიფოების მძარცველები და მყვლეფელები, ვინაიდან ყველა ესენი მეტათ დაინტერესებული არიან პროლეტარიატის დიქტატურის, ე. ი. მუშათა კლასის ხელისუფლების ამოფხვრაში. ამიერ-კავკასიაში პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლა თავს იდვეს ქართველ მენშევიკებმა; ამ საქმეში მათ მხარს უჭერდნენ აზერბეიჯანის ხანები და ბეგები (მუსავატელები) და სომხის ბურჟუაზია (დაშნაკები). ქართველ მენშევიკების ასეთმა მუხანათურმა პოლიტიკამ გამოიწვია ამიერ-კავკასიის ჩამოშორება რუსეთიდან და იმავე დროს ამ ქვეყნის მშრომელთა დამორჩილება ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის მძარცველების გავლენისათვის. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები არსებობდნენ მხოლოდ ფიქტიურათ, სიტყვაზე, ნამდვილათ კი ისინი უცხოელ კაპიტალისტების მონები იყვენ. მუშა ხალხი ისევ კაპიტალისტებს ჩაუგდეს ხელში, გლეხკაცობა დარჩა ისევ უმიწოთ. პირში ჩალა გამოვლებული; ამას დაერთო უმაგალითო ჯერ არ ნახული

ახალი ორგანიზაცია. ცდამ გვიჩვენა, რომ ისეთი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა საერთო ეკონომიურ გეგმის შედგენას, არის შრომის დაცვის საბჭო საგეგმო კომისიასთან ერთათ.

ამ გზით ჩვენ შევდივართ ერთს სამეურნეო გეგმის შექმნის სფეროში. აღწერა რა დაწვრილებით ს. რ. ს. მ. ორგანიზაცია, ამხ. სვერდლოვი დაწვრილებით შეეხო ადგილობრივ ორგანოების განმტკიცების საკითხს, რომელიც გამოწვეული იქნება მათი ახალ მდგომარეობით და ადგილობრივ მრეწველობის ორგანიზაციის და ხელმძღვანელობის სფეროში ფართო უფლებების მინიჭებით. ეს მუშაობა ადგილზე უნდა ხდებოდეს პროფ. კავშირებთან მჭიდრო კავშირით. ორივე მოხსენების გამო გაიმართა ფართო კამათი.

## წვრილ მრეწველობის თავისუფლება.

უკანასკნელ დეკრეტთა თანახმათ წვრილ მეურნეობათა თავისუფლება ვრცელდება აგრეთვე მიწის მუშათა გარდა შინამრეწავთა და წვრილ ქან წარმოებლებზედაც. თუ შინამრეწავის ნაწარმოები არ იქნება სრული თავისუფალი მის განკარგულებაში, ის არ იქნება დაინტერესებული თავის წარმოების გაფართოებით. მსხვილი მრეწველობის თანდათანობით განვითარებისთანავე წვრილი მრეწველობა თავის თავად მოისპობა. ამის გამო მუშათა და გლეხთა მასსების მთელი ლონე და ყურადღება მიქცეული იქნება მსხვილ მრეწველობაზე. უკანასკნელის გასაძლიერებლათ ჩვენ გვაქვს სრული შესაძლებლობა, რადგანაც ომი დამთავრებულია. მსხვილი მრეწველობა მით უფრო ჩქარა წავა, რაც უფრო მეტ სურსათს დაამუშავებენ გლეხები, რამდენადაც უფრო გამაძლარი იქნებიან მუშები. გლეხებს უნდა ახსოვდეთ, რომ ფაბრიკაში დამუშავებულ საქონელს ისინი მიიღებენ უფრო კარგ თვისებისას და შედარებით იაფადაც. მიიღებენ რა საქონელს, სახელმწიფოსაგან მათ არ მოუხდებათ ზედმეტის გადახდა, რადგანაც სახელმწიფო ზედმეტ ფასს მასზე არ დაადებს კერძო მწარმოებელის მსგავსათ. მსხვილი მრეწველობის აღორძინებას ხელს შეუწყობს მუშათა კლასის განმტკიცებას, რომლის არსებობაშიაც ღრმად დაინტერესებულია გლეხები, რადგანაც მარტო მუშათა კლასს შეუძლიან წავიდეს გლეხებთან ერთად მემამულეთა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

## პეტერბურგის გასუფთავება.

მოსკოვი. 7 მაისი. პეტერბურგში შესდგა ქალაქის გასუფთავების ცენტრალური სამეული. ეს სამეული აღჭურვილია საგანგებო უფლებებით. გადაწყვეტილია გამოაცხადონ ქალაქის ნაგვისგან, სიბინძურისგან და ტალახისგან გაწმენდის „კვირა“. „კვირის“ ჩასატარებლად თვითეულ რაიონში სდგება სამეულები. საბჭოთა დაწესებულებანი, ფაბრიკები და ქარხნები გამოჰყოფენ ადგილობრივ სამეულებს ამ დაწესებულებათა ტერიტორიაზე ნაგვის მოსაშორებლად. სახლებში კონტროლი და მუშაობის ხელმძღვანელობა დავალებული აქვთ სახლის შრომის კომიტეტებს ქალაქის გასუფთავება მოხდება მცხოვრებთა მიერ. მეტად ბინძურ სამუშაოს შეასრულებს საასენიზაციო ბაზი. ქალაქის გაწმენდა გაძლიერებული ენერგიით მოხდება ქალაქის გაწმენდასთან ერთად სასწრაფო ზომებია მიღებული ბავშთა სახლებში წყლის მოსამარაგებლად.

## დღეს ასე ვმღერით

დღეს ცის კიდური ალის ფერად მოიჭედება,
ელდა ნაცემი ღამე კვნესით ტყეს თავს აფარებს,
შავ წამოსასხამს მთის ორწოხსა ჩუმად აბარებს
და არე მარე დღის სინათლეს მოელოდება.
დღეს ცის კალთებსა მოქარგავენ სხივთა ისრები,
სოფლად ნაძარცვი ტყეში მიაქვთ ღამისა ქურდებს
და ატრემლებულ ღამის ტანჯვით მთა-მინდორ ველებს
იმედს ჩაუქსოვს გულს მომავლის მზისა სხივები,
და დღეს ჩვენ გვესმის ახალ ჰანგზე სიმღერა დილის
„ღამის საფლავი გადავუჯებნეთ
ცეკვა თამაშით,
მზესთან ვაფრინეთ ჩვენი მხედარი
წითელი რაშით
და მზეც ამოდის მესაფლავე დაცხრილულ ნისლის“.
დილის სიმღერას ჩვენც ავყევით
და ასე ვმღერით:
„ძველი ქვეყნით გვიმგზავრია,
მივალთ უცხო მხარეს,
თან მივკაფავთ ეკლიან გზას,
ვმტრობთ ტანჯულთ ბედს მწარეს
ამა ქვეყნათ გადავშალეთ
მზის სხივების ბადე,
სიმართლითა დამფრთხალ ბნელეთს
ბრძოლა გამოუცხადეთ.
მომავალს და აწმყოს შორის
ხიდი ვიგდეთ ძმობის,
ხელთ გვიპყრია და მიგვიძღვის
წინ ალამი ტროფობის
აწ წინ ვერვინ გადგვეღობვის,
მხსნელათ გვყავს ვარსკვლავი
წითელი და მოციალე,
ბნელეთის მზვერავი.

ხანდრო ეული,

# საზღვარ გარეთ

**გრუკავროსტას დეპეშები.**

## ამერიკა და ევროპა.

სტამბოლი. 20 მაისი. (რადიო). „ორიენტ ნიუსის“ ცნობით, ამერიკის სენატმა განიხილა საკითხი ელჩთა უმაღლეს საბჭოში შესვლის შესახებ. სენატორ როდჟერსმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მდგომარეობა, რომელიც ეკავა ამერიკას ევროპის ომში, მოითხოვს მის მონაწილეობას ევროპის საქმეებში, თუ მას არ უნდა დიდი ზარალი ნახოს. ამას მოითხოვს ასე ვსთქვათ ინტერნაციონალური მოვალეობა, რადგანაც უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული ევროპის მთელი მომავალი. საკითხის განხილვის შემდეგ ამერიკის სენატმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ შტატების წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ელჩთა უმაღლეს საბჭოში იმ პირობით, რომ ამერიკის დელეგატებმა ყველა ძირითადი საკითხების შესახებ წინასწარ კავშირი იქონიონ ვაშინგტონთან.

ინგლისის და საფრანგეთის პრესა ამ რეზოლიუციის შესახებ აღნიშნავს, რომ ამერიკა უბრუნდება ევროპის საქმეებში აქტიურ მონაწილეობის მიღებას, რაც ნიშნავს გერმანიის დამარცხებასო.

ამერიკის სენატის რეზოლიუცია უკვე გატარებულია ცხოვრებაში. მაისის 10 ს ამერიკის ელჩები უკვე მონაწილეობას ღებულობდნენ ელჩთა სხდომაზე.

## ბრძოლა რევოლიუციონერებთან.

ლონდონი. 20 მაისი. „დეილი ჰეროლდის“ ცნობით ამერიკის სენატმა მიიღო კანონი, რომლითაც 40 წლამდე ციხეში დატუსაღებით დაისჯებიან ყველანი, ვინც რევოლიუციონურ გამოსვლების დროს დააზიანებენ სახაზინო ქონებას. უმაღლესმა საბჭომ მონტანში ამ კანონის თანახმად გაარჩია მემანქანეების კავშირის მიერ თანაგრძნობის გაფიცვის გამოცხადების საქმე. სასამართლომ ეს გაფიცვა იცნო, როგორც სახაზინო ქონებისადმი შეგნებით მიყენებული ზარალი.

## დათმობისაკენ.

ლიონი. 22 მაისი, (რადიო) ბერლინის მთავრობამ სავსებით მიიღო საკონტროლო კომისიის მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება ეხება განიარაღებას, სამხარ მასალების დამამზადებელ ქარხნების შემცირებას, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ციხე სიმაგრეების მოსპობასა და იმ სამხედრო საზოგადოებრივი ბიუროების გაუქმებას, სადაც თავს იფარავდნენ სამოქალაქო ტანისამოსებში გამოწყობილ სამხედრო პირნი. მოკავშირეთა მიერ დადებულ ვადის მოსვლამდე ბერლინის მთავრობამ ზოგიერთ შემთხვევაში უკვე გასცა ამის შესახებ საჭირო ინსტრუქცია. ამან კი ნაციონალურ მიმართულების გაზეთებში ვირტის კაბინეთის მიმართ გამოიწვია დიდი უკმაყოფილება.

## ნახშირის კრიზისი.

მოსკოვი. 8 მაისი. ინგლისში ნახშირის მწვავე კრიზისია. ნახშირის ამოღების ციფრები კატასტროფიულია, განსაკუთრებით დონის ოლქთან შედარებით, სადაც ნახშირის ამოღება განუწყვეტლივ მატულობს.

## ინგლისის კოოპერაცია ჩვენს დასახმარებლათ.

ლონდონი. 20 მაისი. (რადიო). ინგლისის კოოპერატივთა კონგრესზე აღნიშნულ იყო, რომ ინგლისის კოოპერატორები უნდა დაეხმარონ საბჭოთა მთავრობას მეურნეობის აღდგენაში. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნება მიმართოს კაპიტალისტთა და იმპერიალისტურ მთავრობის დახმარებას.

## იტალიის არჩევნების შედეგი.

ლიონი. 21 მაისი (რადიო). იტალიის არჩევნების საბოლოო შედეგი. კონსტიტუციონალისტებმა მიიღეს 278 ადგილი სოციალისტებმა 122, კომუნისტებმა 16 კათოლიკებმა 103. რესპუბლიკანელებმა 8, გერმანელებმა 4, სლავიანებმა 4.

## მაკედონიაში საბერძნეთის საწინააღმდეგო გამოსვლა.

ბათომი, 22 მაისი. (დეპეშა). გაზეთ „ჟურნალ დ' ორიენის“ ცნობით, ქემალისტების წარმომადგენლებმა მოლაპარაკება დაიწყეს ბულგარეთ-მაკედონიის ორგანიზაციების ბელადებთან. მოლაპარაკების მიზანია მაკედონიაში ანტი ბერძნულ გამოსვლის მოწყობა. ქემალისტებმა წამოაყენეს ლოზუნგი „მაკედონია მაკედონელთათვის“, კონკრეტიულათ ქემალისტები მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყონ პარტიზანული სამხედრო მოქმედება, რათა დაამარცხონ საბერძნეთის ჯარები და ევროპის ყურადღება მიაქციონ მაკედონიის საკითხს, ამის გამო მაკედონიაში დაიწყო შეტაკებანი ჩეტნიკებსა და ბერძნებს შორის.

# ეკონომიური ცხოვრება

**აბრეშუმის პარკის დამზადება.**

სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე მაისის 19 აბრეშუმის პარკის დამზადების საკითხის შესახებ დაადგინეს, რომ აბრეშუმის პარკის დასამზადებლად საჭიროა შეიქმნას საქონლის ფონდი: ფართლეულობისა, მარილისა, ხასნთისა და ნავთისა. გამოანგარიშებულია, რომ აბრეშუმის პარკზე გასაცვლელად 25,000 ფუთი ჩაია საჭირო. აბრეშუმის პარკის ფასში ამ ფონდის მეხუთედი უნდა გადაიხადონ, დანარჩენი 4/5 კი ფულად უნდა გადასცენ. აბრეშუმის პარკის ფასის გამოსარკვევად გადაწყვეტილია მოწვეულ იქნას საუწყებათა შორისო თათბირი საგარეო ვაჭრობის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის და სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებისაგან. აბრეშუმის პარკი მხოლოდ კოოპერაციულ ორგანიზაციების საშუალებით უნდა დამზადდეს. კრედიტის საკითხს აბრეშუმის პარკის დამზადების გამო კოოპერატიულ სამართველოსთან ერთად განიხილავენ.

**ბრძოლა სახოფლო მეურნეობის განმანადგურებელ ცხოველებთან**

მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ სასოფლო სამეურნეო ბიურო ამ ჟამად ბრძოლას აწარმოებს სასოფლო მეურნეობისათვის ზარალის მიმყენებელ ცხოველთა წინააღმდეგ ორის მიმართულებით: 1 ნახ. ხდება რესპუბლიკის ტერიტორიის გამოკვლევა განმანადგურებელ ცხოველების მხრივ და 2) მათთან საშუალებათა გამოძებნა. ამ ჟამად მუშაობა ხდება ლეჩხუმისა და რაჭის მაზრის ენტომოფაუნისა და მიკოფლორის მხრივ საბოსტნო მინდვრის მცენარეობის კულტურის შესასწავლად. აღმოსავლეთ საქართველოში შირაქის ველს იკვლევენ მინდვრის თაგვების მხრივ. აგრეთვე მათთან საბრძოლველ ახალ საშუალებათა ცდა სწარმოებს. სიღნაღის მაზრაში უკვე ამთავრებენ წინასწარ გამოკვლევას ვენახის ფურცლის ავათმყოფობის შესახებ. უშუალო ბრძოლა ზარალის მიმყენებელ ცხოველებთან მოხდა გორის მაზრაში. მინდვრის თაგვების წინააღმდეგ სოფ. კოვლაში, ნოსტეში, ახალქალაქში, იმავე მაზრის სხვადასხვა რაიონში ბრძოლა სწარმოებს ბაღებისა და ბოსტნების განმანადგურებელ ცხოველთა წინააღმდეგ.

**მელიორაცია.**

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახელმწიფო შენობათა კომისიის გიდრო-სატეხნიკო განყოფილების გამგემ წარუდგინა კომისიას მოხსენება მელიორაციის შესახებ ხარჯთ აღრიცხვებითურთ: 1) ყარაიაზის მანდორში მე-2 განყოფილების არხების გაყვანა და მე 3 და—4 განყოფილებების მორწყვის საქმის გამოკვლევა და პროექტის შედგენა, 2) ფოთის ჭაობების გაშრობა; ამ ჭაობების ზემო ნაწილის გაშრობა რაიონსა და ხობს შუა, გაყვანა ორი არხისა, რაიონის ნაპირების გამაგრება და გამოკვლევა და პროექტის შედგენა ჭაობების გაშრობის შესახებ რიონსა და რკინის გზას შუა, 3) გამოკვლევის გაგრძელება და პროექტების შედგენა ტირიფონის ველის (გორის მაზრაში) და თოხლაურის ველის (თბილისის მაზრაში) მორწყვის შესახებ და 4) სოფლებ ქვითირის, მაღლაკის და ფარცხა-ნაყანევის მორწყვა. სახელმწიფო შენობათა კოლეგიამ მოიწონა ეს გეგმა გიდრო-შენობების მიერ განზრახულ სამუშაოებისა, ხარჯთ აღრიცხვები და პროექტები და დაადგინა გაუგზავნოს ისინი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლათ და თანხების გადასადებათ ხსენებულ გეგმის შესრულებისათვის.

# ქრონიკა

**წინასწარი ზომები.** ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ხოლერის წინააღმდეგ რკინის გზის უფროსმა მიიღო მოსკოვიდან რკინის გზის სამართველოს უფროსის ამხ. ბორისოვისგან დეპეშა, რომელთაც წინადადება ეძლევათ მიიღონ სათანადო ზომები იმის გამო, რომ სამხრეთიდან მოსკოვში წამოსულ მგზავრთა შორის აღმოჩნდა ხოლერიანი ავათმყოფნი. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ყველა ლიანდაგები ციმბირისა და თურქესტანის გარდა სახიფათოა ხოლერის მხრით.

◆ **გამაფრთხილებელი ზომები ხოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ.** ამიერკავკასიის რესპუბლიკების რკინის გზათა უფროსმა, მიიღო რა სახელმძღვანელოთ ეს დეპეშა, მოიწვია რკინის გზის საექიმო პერსონალისაგან და სათანადო სამსახურის აგენტებისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც შეიმუშავა შემდეგი ღონისძიებანი ეპიდემიასთან საბრძოლველათ. ყოველ საექიმო პუნქტებში დაარსდეს სანიტარული კომისია, სადეზინფექციო რაზმები, მატარებლის სადგურებზე ბაკები ცხელი და გაციებულ ნადუღი წყლით, სადგურების განტვირთვა და სხვ. ამის გარდა კომისიამ დაადგინა, გაგზავნოს ყოველ სადგურში დეპეში იმის შესახებ, რომ რკინის გზები სახიფათოა ხოლერის მხრივ.

◆ **ნავთის გადაქაჩვა ბაქო-ბათომს შუა.** მაისის 20 დაიწყო ნავთის გადაქაჩვა ნავთის მილების საშუალებით ბაქო-ბათომს შუა.

◆ **გარეშე ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.** გარეშე ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მოადგილე ამხ. მოდებაძე ამ დღეებში მიემგზავრება ბათომში და იქიდან საზღვარგარეთ. წასვლის მიზანია—მჭიდრო ეკონომიურ კავშირის დაჭერა დასავლეთ ევროპის უმთავრეს სავაჭრო ცენტრებთან.

◆ **აზერბეიჯანის რკინის გზის მოსამსახურეთა ჩამოსვლა.** მაისის 21 თბილისში ჩამოვიდა ბაქოდან მატარებელი აზერბეიჯანის რკინის გზის ყოფილ სამართველოს მოსამსახურეებით. ეს მოსამსახურეები ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამართველოს სამსახურში გადმოყვანილ იქმნენ.

◆ **თესვის კომპანია.** მინდვრების დათესვის ცენტრალურ კომისიის წევრი, აგრონომი ე. კ. ნაკაშიძე გაემგზავრა ქუთაისის გუბ. თესვის კომპანიის სარევიზიოთ, მისგან მიღებულია დეპეშა, რომ ზუგდიდის მაზრაში ნათესი არ იკლებს, პირიქით მოიმატა 15 ათას დესეტინით. თესვის კომპანიის დასამთავრებლათ საჭიროა 15 მილიონი მანეთი, რომელსაც აგრონომი ნაკაშიძე მოითხოვს საჩქაროთ იქნას გაგზავნილი ზუგდიდის სამაზრო თესვის კომისიის სახელზე.

◆ **არქივის ქაღალდის გამოყენება.** მომარაგების საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფანიევმა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს მოახსენა, რომ საჭიროა სახელმწიფო დაწესებულებათა საარქივო ქაღალდები გადაირჩეს და ეს ქაღალდი რომელიმე წარმოებას მოხმარდეს, თუნდაც თამბაქოს წარმოებას. პრეზიდიუმმა დაადგინა მომარაგების საბჭოს დაევალოს სათანადო მოხსენების შედგენა საქართველოს რევკომში წასადგენად.

◆ **განძეულობის დაცვა.** განათლების სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ს. ს. ს. რესპუბლიკის რევკომის წინაშე, რათა დაევალოს რესპუბლიკის ადგილობრივ ხელი უფლებათ ზომების მიღება რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილას არსებულ არქეოლოგიურ სიძველეთა და მხატვრულ ღირებულებათა დასაცავათ და შესანახათ. ამ შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლათ, შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა რევკომის წინადადებით, ბრძანება დაუგზავნა ყველა სამაზრო რევკომებს, რომ მათ მუზეურგლეხურ ინსპექციის წარმომადგენელის თანადასწრებით აღნუსხონ აღნიშნული ქონება. აღწერილობის დედანი სამაზრო რევკომმა უნდა გადმოუგზავნოს განათლების სახალხო კომისარიატს, ხოლო მისი პირი უნდა დარჩეს, როგორც სამაზრო რევკომში, აგრეთვე იმასთანაც, ვის ხელშიაც ამ ჟამად იმყოფება აღწერილი ქონება, გარდა ამისა ამ უკანასკნელს უნდა ჩამოერთვას ხელწერილი აღწერილობაში მოთავსებულ ნივთების მთლიანად შენახვის შესახებ.

## სრულიად საქართველოს მშრომელ ქალთა ყრილობა

24 მაისი. ყრილობის მეხამე დღე. მილოცვა-მისალმებები გრძელდება. ილაპარაკეს გორიდან—ამხ. ჩლაიძისამ, სამტრედიიდან — სტურუამ, გურიიდან— ივანოვისამ, ფოთიდან, ახალციხიდან, ბორჩალოდან და სხვ.

აქ აღსანიშნავი იყო სოფ. არპლისიდან წარმომადგენლის მუსულმან ქალის— ზეინაბ ზეიტ-გზის მარტივად უბრალოდ გამოთქმული გულწრფელი სიტყვა, რომელიც შეეხო მენშევიკების მიერ ჩანერგილ ზღაპრულ შიშს ბოლშევიკების შესახებ და დაასკვნა: ჩვენ შეგვაშინეს, მოტყუილებით ცდილობდენ აებნიათ გზა, მაგრამ ეს ვეღარ შესძლეს მათ, რადგან ახლად შექმნილი ნამდვილი ღარიბი ხალხის მოსარჩლე მთავრობამ თავისი საქმის, ცოცხალი საქმის მსვლელობით ყოველივე ჭორები გაჰფანტა; და აი ახლა ჩვენ თავს ვგრძნობთ როგორც ახალდაბადებული ბავშვი. (ხანგრძლივი ტაში)| ოვაციებში გადასული. ტრიბუნიდან ჩამოსვლის დროს ქართველი და რუსი ქალები მივარდებიან და ჰკოცნიან, ეხვევიან ღრმა თანაგრძნობა მადლობის ნიშნით).

შემდეგ ილაპარაკა ახალქალაქიდან სომეხ ქალმა, რომელმაც აღნიშნა ძველ, მენშევიკურ მთავრობის დროს თათარსომეხთა შორის შექმნილი შური, ეროვნული ქიშპი, პოგრომები, ხოლო ეხლა— საბჭოთა რესპუბლიკის დამყარებით, ყოველივე ამის წაშლა, სრული განათავისუფლება, ერთა შორის ძმური, სოლიდარული კავშირის დამყარება. (ხანგრძლივი ტაში).

ილაპარაკეს კიდევ: თბილისის ქალთა კონფერენციასაგან—გიორგაძემ და ბადრიძემ, თიანეთიდან — ფიცხელაურმა, ზუგდიდიდან—საჯაიამ, სენაკიდან—დაძამიამ (მეგრულად) ახალციხე—ხოტა-

ნაციონალური შუღლის გაღვივება, სისხლისმღვრელი შეტაკებები და ომები ნაციონალურ ნიადაგზე თვით საქართველოში, რომელმაც ათასოვან წლების განმავლობაში არ იცოდა არავითარი შუღლი და განხეთქილება ნაციონალურ, ეროვნულ ნიადაგზე, მენშევიკების დროს ნაციონალური შუღლი და განხეთქილებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია.

მაგრამ მუშათა კლასის საბედნიეროთ, საბჭოთა რუსეთმა თავისი სახელოვანი მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი წითელი ჯარის მეოხებით სამი წლის განმავლობაში შეუწყვეტელი გმირული ბრძოლის შემდეგ სძლია როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებს, ყველა ქვეყნის კაპიტალისტებს და მემამულეებს, ადვილი გასაგებია, რომ რუსეთის პროლეტარიატის ამ ბრწყინვალე გამარჯვებას თავისთავად უნდა მოყოლოდა ამიერ კავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ რესპუბლიკების საბჭოთა რესპუბლიკებათ გადაქცევა მით უფრო, რომ ამ რესპუბლიკების მშრომელთა მასსა, მუშები და გლეხები უკვე 1918 წლიდან იბრძოდენ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლათ.

4. ამნაირად ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში დღეს სისხლის ღვრა როგორც შინაურ, ისე გარეშე ფრონტზე შეწყვეტილია. მართალია, ამით ბრძოლა ჯერ დამთავრებული არაა. როგორც გარეშე, ისე შინაური ბურჟუაზია საბჭოთა რესპუბლიკებში ჯერ კიდევ არა გრძნობს თავის თავს საბოლოოთ დამარცხებულათ. ახლა ის იმუშავებს და იგონებს ბრძოლის ახალ საშუალებებს; მას სწადია საბჭოთა ხელისუფლება ააფეთქოს შიგნიდან მშვიდობიანი პროპაგანდის და აგიტაციის მეოხებით, და ამისათვის ცდილობს გამოიყენოს საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთი შემთხვევითი ნაკლი ერთი მხრით და შვიდი წლის ომით გამოწვეული ეკონომიური განადგურება ხალხის უკიდურესი გაღატაკებით, დამშევით, ავადმყოფობით და სხვა.

ამ ნიადაგზე მშრომელი ხალხის ყველა მტრებს, ვაჭარ-სპეკულიანტებიდან დაწყებული და გათავებული მენშევიკებით, სწადიათ კიდევ ახალი არევ-დარევის შექმნა, ახალი სისხლის ღვრის გამოწვევა, თუმცა დარწმუნებული არიან თავისი განზრახვების საბჭოთა ხელისუფლების დამხობის—სრულ განუხორციელებაში. ყველა ამ ვაჟბატონებს მით უფრო ჩქარა გაუცრუვდებათ იმედი, რამდენადაც მშრომელი მასა, მუშა მამაკაცები და მუშა ქალები, ჩქარა შეიგნებენ დღევანდელ მდგომარეობას, რამდენადაც ჩქარა გაიგებენ, თუ რას ნიშნავს მუშა ხალხისთვის საბჭოთა ხელისუფლება, რომ დაკარგვა ამ ხელისუფლების მუშათა კლასისთვის, პროლეტარიატისათვის და გლეხებისთვის იქნებოდა იმათი სრული დამონება წინანდელ მყვლეფელებისადმი, და ამ უკანასკნელთა საშინელი შურისძიება. აქედან უპირველესი დანიშნულება დღევანდელ პირობებში ყველა მშრომელთა განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა მდგომარეობს პროლეტარიატის დიქტატურის, ე. ი. მუშათა ხელისუფლების დაცვასა და გამაგრებაში. საბჭოთა ხელისუფლების საშუალებით მუშები და გლეხები შესძლებენ არა თუ სისხლისმსმელ კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან თავის დახწევას, არამედ ამ მუქთახორათა სრულიად მოსპობას. ამასთანავე საბჭოთა ხელისუფლება ერთად-ერთი თავდებია იმის, რომ ჩვენში სამუდამოთ მოისპობა და აღიგვება ყოველივე მტრობა, შუღლი და განხეთქილება სხვადასხვა ეროვნებათა შორის, რომლებიც აქ ცხოვრებენ. რაც შეეხება იმ ეკონომიურ განადგურებას, იმ საშინელ გაღატაკებას, რომელსაც ჩვენ დღეს განვიცდით, იმ სიმშილს, იმ სიტიტვლეს, რომელიც დღეს ჩვენ მშრომელ მასას სტანჯავს, ყველა ამ უბედურების წინააღმდეგ აუცილებელია მედგარი, შეუპოვარი ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გაძლიერებით, წარმოების ზრდით და სახალხო მოხმარების მეტი რაოდენობის დამზადებით. ერთი დაკვრით, უეცრივ ამ სიღარიბეს თავს ვერ დავაღწევთ, საჭიროა მუყაითი, ხანგრძლივი განუწყვეტელი მუშაობა. აქ მშრომელ ქალს ისე, როგორც მშრომელ მამაკაცს წინ ეშლება უდიდესი ასპარეზი.

მხოლოდ თავდადებული და შეუპოვარი შრომა მიგვიყვანს ჩვენ შრომის სამეფომდე, რასაც კომუნიზმი ეწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვისამ, დუშეთიდან—კობაშვილმა და სხვა.

მოლოცვების დასასრულ ყრილობას მიესალმა ჩრდილოეთის პარტკომის წარმომადგენელი ამხ. ხობზაევი, რომელმაც ხაზი გაუსვა ქალთა პირველი ყრილობის მოწვევით შექმნილ მის ისტორიულ ხასიათს.

შემდეგ გაკეთდა ვრცელი მოხსენება—მიმდინარე მომენტზე მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. ფილ. მახარაძემ; მისმა მდაბიო ენამ, აზრების მარტივმა გადმოცემამ ყრილობა ძლიერ კმაყოფილი დასტოვა. ყრილობამ გამოიტანა მოხსენების შესაფერი რეზოლიუცია (რეზოლიუციაც და გაკეთებული მოხსენებაც ცალკე იქნება დაბეჭდილი).

**ყრილობის მეოთხე დღე.**

ყრილობა გაიხსნა დილის 11 საათზე ამხ. თედორე კალანდაძის მოხსენებით შემდეგ თემაზე:—რა მისცა, და რას აძლევს საბჭოთა მთავრობა ქალს?— მოხსენება შინაარსიანი იყო, და მჭერმეტყველურადაც იქმნა მისგან წაკითხული, რამაც დამარცხებული, მძიმე ცხოვრებით დაგლახავებულ სოფლელ ქალებს გაუღვივა გულში აღძრული, გულში ჩარჩენილი პასუხ მიუცემელ მრავალი კითხვები მიეცა ამხ. თედორესთვის.

წერილობის სახით მოცემული მრავალ გულწრფელ შეკითხვებზე, ამხ. თედორემაც შესაფერათ მჭერმეტყველურად, მარტივად გასცა სათითაოდ ყველას პასუხი, რამაც მეტისმეტი სიცოცხლე შექმნა ყრილობაზე, კმაყოფილება გამოიწვია, სიამოვნების ღიმილი აათამაშა მრავალი მწუხარებას გამოვლილი სოფლელი ქალების დანაოჭებულ შუბლ პირის სახეებზე.

საღამოს 5 საათზე განათლების კომისრის მოადგილემ ამხ. მარუსია ორახელაშვილმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე:—ბავშვის აღზრდა | დედის ინტერესის დაცვა.

მოხსენება მოკლე, მაგრამ შინაარსიანი იყო. (მოხსენებები, როგორც ამხ. თ. კალანდაძის ისე მარ. ორახელაშვილის ცალკე იქნება დაბეჭდილი).

უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: ყრილობას ძალიან აგრძელებს ის გარემოება, რომ ოთხ ენაზე ლაპარაკი, ოთხ ენაზე ითარგმნება ხოლმე ყოველივე სიტყვები, მაგრამ თან ამ გარემოებასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამას ძლიერ დიდი სარგებლობა მოაქვს ყრილობისთვის, რითაც აქ წარმოდგენილ სხვა ენის არ მცოდნე სოფლელ სომეხს, ქართველს, რუსს, თათარს, საშუალება ეძლევათ თავიანთ მშობლიურ ენაზე მოისმინონ და გაიგონ ყველაფერი.

მართალია ღლის ეს ყრილობას, მაგრამ აღნიშნული უკანასკნელი გარემოება შლის ამას.

**ხევახტი.**

## ჩვენი მეშაბათეები

შაბათს 21 მაისს, თფილისის პროლეტარიატს პირველათ ხვდა მონაწილეობის მიღება პარტკომის მიერ გამართულ შაბათობაში; პირველად მოუწია მათ თავიანთი კოლლექტიური კომუნისტური შრომის გაღება იმ დიდ,—ახლად შენების პროცესში მყოფ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსთვის, რომლის იდეას ისინი ჩუმათ, შიშის ქვეშ მრავალ წლობით ატარებდენ საკუთარი გულების ფიცრებზე; რომლის სულ ხორცის შესასხმელათ მათ მრავალზე უმრავლესი მსხვერპლი გაუღიათ თავიანთ კლასობრივ მტრებთან გამუდმებულ ბრძოლაში.

ყველა რაიონულ პარტკომების ბინებიდან თუ სხვა შესაგროვებელ პუნქტებიდან დაძრული მრავალი მშრომელნი წითელი დროშებით ხელში, მუსიკით, ინტერნაციონალის სიმღერით, შუა დღის 2 საათზე მიიმართებოდენ მწყობრად, დისციპლინით როგორც შრომის ჯარის კაცები წინასწარ აღნიშნულ სამუშაო ადგილებზე.

მათ რიცხს არ აკლდა არც ქალი, არც ვაჟი, არც სამხედრო პირი, არც ისე მის გარეშე მყოფი, აქ არეული იყვნენ მუშა ქალი და კაცები, მშრომელი ინტელიგენტი ქალები და კაცები.

იქცევდა განსაკუთრებით ყველას ყურადღებას წითელი, 1000 კაცისაგან შემდგარი ახალი ქართველი ჯარი, რომლებიც თოფ იარაღების ნაცვლად ეხლა ლაფათქებით ხელში სამუშაოსაკენ მიეშურებოდენ თავიანთ ამხანაგ მუშებთან ერთად.

თვალში გეცემოდა აგრეთვე საერთო რიცხვიდან ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის მრავალ რიცხოვანი რაზმი.

ამ დღეს შეუდგენ მუშაობას აღნიშნული მოშაბათეები და ბრწყინვალეთ შეასრულეს დანაკისრები შემდეგ ადგილებში:

1) არსენალში.
2) ტრამვაის პარკში.
3) რკინის გზაზე.
4) ელექტრო სადგურზე.
5) მუშათა კლუბში—რომელიც გასწმინდეს მრავალი ნაგავ-სიბინძურისაგან.

ტეხნიკ-ინჟენრების და მუშაობის ხელმძღვანელებთა ანგარიშით მუშაობის შედეგი ამ დღის ძლიერ ნაყოფიერი, ძლიერ დიდია.

ვუსურვებთ შაბათობის მომწყობთ გაემართოთ სხვა შაბათობაც ასე კარგად, ასე ბრწყინვალეთ ჩაეტარებიოთ მომავალში ეს დღე.

**ხევახტი.**

## პროფესიონალურ კავშირებში

### ქიმიკოსების კავშირი

ქიმიკოსების კავშირის სხდომაზე 17 მაისს სხვა საკითხთა შორის განიხილეს ამხ. შევლიუკის მოხსენება, რომ გამგეობის წევრები სისტემატიურად არ ესწრებიან პლენუმის სხდომას. ამხ. შევლიუკმა განმარტა მათი მოვალეობანი და მოითხოვა ლონის ძიებათა მიღება, რადგან ასეთი მოვლენა ავნებს პროფკავშირის მუშაობას. ამხ. ზუკდანოვმა განაცხადა განყოფილების არც ერთი გამგე თავის ადგილას არ არის, თითქმის არაფერს აკეთებენ და გამგეობის მუშაობა გამოიხატება წვრილმანი განცხადებების და კონფლიქტების განხილვაში. ზოგიერთ განყოფილებების გამგეთ პასუხათ განაცხადეს, რომ საქმეები ბრკოლდება ადგილობრივ კომიტეტების მიერ' რომელნიც არ უპასუხებენ მოწერილობაზე და მათ რამდენჯერმე უნდა შეეკითხონ, რომ პასუხს ეღირსონო. კრებამ წინადადება მისცა ყველა გამგეებს ყურადღებით მოეპყრან საქმეს და თავიანთ მოვალეობის აღსრულებას.

### მიწა-ტყის კავშირში.

მიწა ტყის პროფკავშირის მთავარმა გამგეობამ 21 მაისის სხდომაზე დაადგინა:

— მოხსენება ამხ. ანდრონიკაშვილისა ეკონომიური განყოფილების მუშაობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

— აღიძრას შუამდგომლობა პროფკავშირთა საბჭოს წინაშე, რომ ახალი დებულებით მიწა ტყის კავშირს, როგორც საწარმოვო კავშირს, უფლება მიეცეს მიწათ-მოქმედების კომისარიატის კოლეგიაში იყოლიოს წარმომადგენლები გადამწყვეტი ხმის უფლებით. საბჭოსთან შუამდგომლობის დასაცავათ არჩეულ იქნეს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ანდრონიკაშვილი, ვარახელაძე, ფანცხავა, ბრეგვაძე ნიკ., სტეფანოვი.

— ეკონომიური განყოფილების გამგის მოხსენება კავშირის წევრთათვის სასადილოების მოწყობის შესახებ მიღებულ იქნა. ამხ. სვანაძეს, ზაკტრეგერსა და აბაშიძეს დაევალოს ეკონომიური განყოფილების ხელმძღვანელობით მიიღო პრაქტიკული ზომები სასადილოს მოსაწყობათ ახლო მომავალში.

— დაევალოს საორგანიზაციო განყოფილების გამგეს შინა-მრეწველობის კომიტეტის მუშა-მოსამსახურენი შემოუერთოს მიწა-ტყის კავშირს, რადგან საწარმოო პრინციპის მიხედვით ისინი მხოლოდ ამ კავშირში უნდა შედიოდენ.

— საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოხსენება თელავის მაზრაში მუშაობის შესახებ მიღებულ იქნა. დაევალოს ამხ. ვ. რცხილაძეს მიიღოს სასწრაფო ზომები, რომ ადგილ-კომები მოეწყოს ახლო მომავალში სხვა მაზრებშიდაც. ვინაიდან საორგანიზაციო განყოფილებას ბევრი სასწრაფო სამუშაო აქვს შესასრულებელი, ეთხოვოს ამხ. ვ. რცხილაძეს თავი განითავისუფლოს სხვა გარეშე დავალებათაგან.

— მიწის რეფორმაზე მომუშავეთათვის ცალკე ადგილკომის დაარსების საკითხი დასკვნისათვის გადაეცეს საორგანიზაციო განყოფილებას.

— დაევალოს კულტურული განყოფილების გამგეს მოაწყოს სახელმწიფო ღვინის საწყობის მუშა-მოსამსახურეთათვის სამკითხველო.

— სიხარულიძის ყოფილ ბაღში შექმნილი მდგომარეობის გამორკვევა მიენდოს ამხ. ვ. რცხილაძეს, ავაკიანცსა და ტოჩილინს.

— შრომის დაცვის განყოფილების მოხსენება მუშაობის შესახებ მიღებულ იქნას ცნობათ.

— ვინაიდგან პროვინციებში ადგილკომების მოწყობა ჯერ დამთავრებული არ არის, ამიტომ მიწა-ტყის კავშირის კონფერენციის მოწვევა გადაიდოს. დაევალოს საორგანიზაციო განყოფილების გამგეს შემდეგი სხდომისათვის წარმოუდგინოს გამგეობას მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა კონფერენციაზე მიწა ტყის კავშირის მონაწილეობის მიღების შესახებ.

— მიწა ტყის კავშირიდან ცენტრ. მუშათა კლუბის გამგეობის წევრებათ არჩეულ იქნენ ამხ. ჭილაშვილი და ბოლქვაძე.

— გამგეობა ითვალისწინებს-რა იმ არანორმალურ პირობებსა და გარდაუვალ დაბრკოლებებს, რომლებიც წინ ეღობებოდენ კომისიის მუშაობას, ცნობს, რომ კომისიას არ შეეძლო გამოეჩინა მეტი ნაყოფიერება მუშაობისა მისგან დამოუკიდებელ გარეშე მიზეზების გამო და საჭიროთ სთვლის განაგრძოს კომისიამ დაწყებული მუშაობა.

— გამგეობა საჭიროთ სთვლის დაეჭიროს ნახარი შრომის განყოფილების შუამდგომლობას აგრარულ რეფორმაზე მომუშავე პერსონალისათვის გადიდებული ულუფისა, ტანისამოსისა და ფეხსაცმელის მიცემის შესახებ.

— გამგეობა დამაკმაყოფილებლათ ვერა სცნობს კომისიის მუშაობას შალეულობის დ რიგების გამოძიების საქმეში და მის დასკვნასაც. გამგეობა ავალებს ამხ. ვ. რცხილაძეს, გაგუას და ტოჩილინს ხელახლა გამოიძიონ ეს საქმე სავსებით, განიხილონ ყველა საბრალდებულო მუხლები და გამოძიების მთელი მასალა კომისიის დასკვნით წარმოუდგინონ გამგეობას საჩქაროთ.

## პროვინციაში

### ხაშური.

12 მაისს რკინის გზის მუშათა კლუბში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქმნა კომედია ი. ცაგარელისა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, რასაც ხელს უწყობდა ბეჯითად მომზადება პიესისა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ დღიდან საბჭოთა ძალა უფლების განხორციელებისა ხაშურში მეტად ნაყოფიერი მუშაობა ეტყობა წარმოდგენების მართვას. რეგულიარულად კვირაში ორჯერ იმართება წარმოდგენები უმეტესად რევოლიუციონურ შინაარსისა. იმართება წარმოდგენები აგრეთვე რუსულ ენაზე. მთელ ამ საქმეს აწარმოებს ადგილობრივ კულტ.-განმან. კომისია და ამ ნაყოფიერი მუშაობით დიდი მადლობა დაიმსახურა ადგილობრივ მუშებისა. წარმოდგენები იმართება სრულიად უფასოდ. ბილეთები რიგდება მხოლოდ მუშებზე, წარმოდგენის წინასწარ აუცილებლად იმართება პატარა მიტინგი, სადაც ორატორები აშუქებენ სხვა და სხვა პოლიტიკურ საკითხებს. განზრახვაა იმართებოდეს წარმოდგენები სოფლებშიაც. ამას გარდა არსებობს მომღერალთა გუნდი, სამხედრო მუსიკა, რაიც საერთო კულტურულ მუშაობაში დიდ ნაყოფს აძლევს ხაშურის მშრომელთ.

**გ. ბ.**

### ს. ხორში.

1921 წ. 18 მაისს სოფ. ხორშის ადგილობრივ პარტკომმა მოიწვია კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. ქაჯაიამ სოციალისტურ რევოლიუციის მსვლელობაზე. შემდეგ ამხ. სანდრო თურქიამ გააკეთა მოხსენება და გააცნო ხალხს ბურჟუაზიის და მენშევიკების მოქმედება: ბრძოლა ორ კლასთა შორის, დაახასიათა მუშათა დამხსნელი და მათი ინტერესების დამცველი მესამე ინტერნაციონალი. მოხსენებამ ხალხში გამოიწვია აღტაცება. იქმნა გამოტანილი რეზოლიუცია: მრავალრიცხოვანმა კრებამ მენშევიკების ბრჭყალებისაგან თავდაღწეულმა მშრომელმა ხალხმა მოვისმინეთ რა ბურჟუაზიის და მისი აგენტების ყაჩაღური მოქმედების შესახებ წყევლა და კრულვას ვუთვლით მუშების მოღალატე საქართველოს ყოფილ მთავრობას, ფიცსა ვსდებთ მუშათა ინტერესების დამცველი საბჭოთა მთავრობის წინაშე, რომ ჩვენი უკანასკნელი სისხლის წვეთამდის შევებრძოლებით მუშათა მოსისხლე მტრებს და დავიცავთ სისხლით მონაპოვარ თავისუფლებას.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას, გაუმარჯოს რუსეთის ძლევამოსილ წითელ ჯარს, გაუმარჯოს დაჩაგრულ კლასთა დამცველ მესამე ინტერნაციონალს და მის ბელადებს ლენინს და ტროცკის.

**ს. თ—ქია.**

### თელეთი.

ძნელად თუ სადმე მოიპოვება საქართველოში ისეთი ჩამორჩენილი კუთხე სწავლა განათლების მხრივ, როგორც თელეთი და მისი ახლო მდებარე სოფლებია. არ გეგონოს, მკითხველო, სვანეთის რომელიმე მიყრუებულ სოფლებზე მქონდეს ბაასი. თელეთი ერთნაირი ცენტრია, რადგაც 6—7 ვერსის მანძილითაა ქალაქიდან დაშორებული და მიუხედავად ამისა მისი მცხოვრებნი ყრუა იმდენად, რომ პირველ ყოფილ მდგომარეობის გაცილებული თითქმის არაა, აი მცირე სტატისტიკური ცნობები თელეთის საზოგადოებისა სწავლა განათლების მხრივ თელეთში 130 კომლია. თავის სახელი და გვარის მოწერა იცის (ზედმეტია ბაასი თავისუფალ წერა-კითხვაზე) 12 კაცმა. წალხურში, 60 კომლია, წერა იცის 7 კაცმა, სოღანლუღში 125 კომლი, წერა იცის 11 კაცმა, მირზო-თელეთში 65 კომლი წერა იცის 8 კაცმა, ასეთია მდგომარეობა თელეთის საზოგადოებაში სწავლის მხრივ. იქნება გგონიათ, სკოლები არ იყოს. თითქმის ყველა სოფელშია სკოლა, მაგრამ მოწაფეები არ დაიარებიან—რად მინდა სწავლა ვითომ შენ რო გისწავლია ჩემზე კარგად სცხოვრობ თუო? გიპასუხებს აქაური გლეხი. შვილი რო სკოლაში მივცე, ღამის—მებრეობას ვილა-გამიწევს, ნასწავლი შვილი, „გალუსტუკს“ გაიკეთებს და მერე მე ის არ გამომადგებაო— ამბობს მეორე და რაც უნდა უმტკიცო ვერ დაარწმუნებ, რომ სწავლა სინათლეა ხოლო უსწავლელობა სიბნელე,—ეკონომიურად ხალხი მოღონიერებულია, (იმერეთის ხალხს ასეთი სიმდიდრე რომ ჰქონდეს, ხომ ყოველ სოფელს გიმნაზიებით დაამშვენებდა?) ძნელი საპოვნია ისეთი მიწური სახლის პატრონი რომელსაც რამოდენიმე მილიონი არა ქონდეს ფულად, ხოლო საქონლის მხრივ, ხომ, ოცდა-ათჯერ წინა დგანან იმერეთის სოფლებზე.

აქეთ დიდი გვალვებია, რომელმაც თითქმის გადაახმო ბალახები, და თუ ასე გაგრძელდა გადაახმობს ნათესებსაც, მაგრამ, ერთი უებარი წამალი სცოდნიათ აქაურებს, წვიმის მოსაყვანად, ეს არის „ლაზარე“ რომელიც მდგომარეობს შემდეგში. 7 თუ 8 დედაკაცი იწყებს სოფლებში ოჯახ-ოჯახ სიარულს ხატით შემკულები, და მღერიან „ლაზარეს“, რის შემდეგ, ოჯახში მყოფმა წყალი უნდა გადაასხა. არის მეორენაირი „ლაზარეც“. მათ წყლის დასხმა არ უნდა, არამედ აგროვებენ სურსათს ფულს და ღმერთს უმართავენ სალვთოს, თითქმის თვეა ამას შობიან, მარა ღმერთმა ჯერ არ გადმოხედა აქაურებს წყალობის თვალით.

21 მაისს ს. მირზო თელეთში მოხდა ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი. მწყემს უპოვია მინდვრად, გაუხეთქელი ყუმბარა, წონით 20 გირვანქა, რომელიც მოუტანია შინ, დაუხეთქებია ქვაზე და ისე სიმძლავრით გასკდარა რომ, იმსხვერპლა ექვსი ბავშვი, ორი ძროხა ერთი ხბო ერთი მოზვერი, ერთიც ცხენი.

საერთოდ აქეთ მინდვრებში ხშირად შეხვდებით, ყუმბარებს, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

**გ. ჯიქია.**

— საქართვ. კომმარქსის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომმარქსის [illegible] კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 [illegible] 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „[illegible]“ ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო [illegible] ლის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—[illegible] ბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—53.

მე-5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**

# განცხადებანი

**სხვადასხვა**

ქალაქ თფილისის რევკომთან არსებული მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება ამით აცხადებს, რომ მოქალაქე ალექსანდრე ალექსანდრესძე მელიქ შახნაზაროვმა შემოიტანა განცხადება, მისი გვარის—შახნაზაროვის—ალექსანდროვის გვარზე შეცვლის შესახებ.

ქვეგანყ. გამგე **მ. მდივანი.**
მდივანი **ჯიმშერაშვილი.**

## ნავთეულობის პროდუქტების გაცემის წესი

ს. მ. უ. ს. მომარაგების საბჭოს სათბობი მასალის განყოფილება ამით აცხადებს ნავთეულობის პროდუქტების გაცემის წესს.

**ნავთეულობ ს სათბობ მასალას** (ნავთს, დენატურატს და მაზუთს) ანაწილებს სათბობი მასალის განყოფილება, ამიტომ მოთხოვნილებანი სათბობ მასალაზე უნდა იგზავნებოდეს აღნიშნულ განყოფილებაში.

**განათებისათვის საჭირო ნავთის** მოთხოვნილებებით მცხოვრებლებმა უნდა მიმართონ სახალხო სასურსათო კომისარიატს, სადაც ისინი მიიღებენ დასტურს; თუ მოთხოვნილებებს ეს დასტური არ ექნება, სათბობ მასალის განყოფილება ნავთს აღნიშნულ მიზნისთვის არ გასცემს.

**ბენზინს ავტომობილებისთვის** ანაწილებს ს. მ. უ. ს. ცენტრალური ავტოსექცია, ხოლო ბენზინს სხვა ტეხნიკურ საჭიროებისათვის—სათბობ მასალის განყოფილება. ეს უკანასკნელი ანაწილებს აგრეთვე **წასახმელ ზეთებს**, რომლის მისაღებად საჭიროა სათბობ მასალის განყოფილებაში მიმართვა.

## ყველა დაწესებულებებს, საზოგადოებებს და სამეურნეო წარმოებებს.

იმპერიალისტურ სახელმწიფოებში სათანადო პირნი თავის მთავრობის წინაშე აძლევენ მოღვაწეობის და მუშაობის ანგარიშს, სოციალისტურ რესპუბლიკაში კი ამგვარი ანგარიში უნდა წარედგინონ თვით ხალხს.

პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის გამოფენის განყოფილება აწყობს საბჭოთა აღმშენებლობის და მეურნეობის გამოფენას და სთხოვს ყველა დაწესებულებებს გამოგზავნონ ამ გამოფენაზე შემდეგი;

1) დაწესებულებების სტრუქტურა (რა განყოფილებები და ქვეგანყოფილებები აქვს დაწესებულებებს). 2) მუშაობის მეთოდი (გეგმები, პროგრამები, ნუსხები, სქემები, აფიშები, პლაკატები და სხვ.). 3) საწარმოვო იარაღები (მანქანათა მოდელები, სურათები, ნამუშევართა ნიმუშები, სახელმძღვანელოები, დარიგებანი). 4) რამდენათ მიაღწიეთ მიზანს (სტატისტიკური ანგარიშები შეძლებისდაგვარ დიოგრამებში და კარტოგრაფებში).

გამოფენები მოეწყობა დახურულ ბინებში (მუზეუმები), ქუჩებზე—ვიტრინებში და აგრეთვე პროვინციებში (მოძრავი გამოფენები),

ყველა მასალა უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართით: ქ. თფილისი, ლორის მელიქოვის ქ. № 6 პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობის გამოფენის განყოფილებას.

## შენობათა კომიტეტისაგან

ს. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო შენობათა კომიტეტი იწვევს ქალაქ გორის და გორის მაზრის სოფლების (გორის რაიონი და სამხრეთ ოსეთი) აღმდგენელ სამმართველოს თანამშრომლებს: ინჟინერებს, ტეხნიკოსებს, ათის თავებს, მხაზავებს, მნუსხავებს, კანტორის მოხელეებს და ბუღალტერებს, საქმის მწარმოებლებს, მოანგარიშეებს, გადამწერებს და საწყობის გამგეებს.

წინადადებით უნდა მიმართოთ სახელმწიფო შენობათა კომიტეტს (სერგიევის ქ. № 8) ან და ქ. გორის სამმართველოს, ქალაქის ყოფილ გამგეობის შენობა.

## თბილისის მაზრის ყველა რაიკომებს

**მანგლისი, ყარაიაზი, ასურეთი, ალბულაღი, გარეუბანი, მარტყოფი, სართიჭალა და საგარეჯო.**

თანახმად თბილისის მაზრის კომიტეტის ამა წლის 20 მაისის დადგენილებისა, მოწვეული არის კრება, ყველა რაიკომების პასუხისმგებელ მდივნების და ორგანიზატორების. ამისათვის ევალება ყველა რაიკომების პასუხისმგებელ მდივნებს და ორგანიზატორებს, გამოცხადდენ თბილისის მაზრის კომიტეტში ამა წლის 31 მაისს.

**გამოცხადება სავალდებულოა.**

თ. მ. კ. მდივნის მაგ.: **ვ. ლეჟავა.**
თ. მ. კ. საქ. მმართველი: **ი. ჯანელიძე.**

## თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთ-საცავი

ამით უკანასკნელად მიმართავს თხოვნით ყველას, ვისაც კი წაღებული აქვს წიგნთ საცავიდან წიგნები, როგორც თფილისში მყოფთ, ისე თფილისიდან წასულთ—პროფესორებს, ასისტენტებს, სტუდენტებს და სხვებს—დაუბრუნონ წიგნთ-საცავს წაღებული წიგნები მიმდინარე წლის ივნისის 5-მდე. წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.